

მობზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 5.

კვირა, 13 თებერვალი 1905 წლისა.

№ 5.

„მობზაური“ რედაქცია აცხადებს: 1) რადგანაც ჟურნალის გამოცემა ახალი პირობებით მხოლოდ **მეორე (№ 2) ნომერიდან** დაიწყო, ამიტომ ხელის მოშორების მხოლოდ ამ ნომერიდან ვგზავნებათ ჟურნალი და წლიური ხელისმომწერლები წლის განმავლობაში (1905 წლის 16 იანვრიდან 1906 წლის 16 იანვრამდე) მიიღებენ **ორმოცდა-თორმეტ ნომერს.** 2) რადგანაც მეორე ნომერი (№ 2) რედაქციაში **სრულიად აღარ მოიპოვება**, ამიტომ რედაქცია მეორეთ ბეჭდავს ამ ნომერს, რომელიც სულ ახლო ხანში დაურიგდება იმ ხელისმომწერთ, რომელთაც ხსენებული ნომერი არ მიუღიათ.

ზინაბასი: თანადროული კითხვები, ფ. მახარაძისა.—ბაქოში მომხდარ ამბების გამო.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენტები.—რუსეთის ქრონიკა.—უცხოეთის ქრონიკა.—ნაწევები, ლექსი ალიონისა.—აკვირებელი ამბავი, ეშმაკისა.—დამნაშავე, მოთხრ. ციონისა, თარგ. N.-სა.—ქუთათურის შენიშვნები, ისოსი.—თფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში.—საზოგადოებრივ-ისტორიული წერილები, თარგ. ლ. ელიაშვილი.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—განცხადებანი.

თანადროული კითხვები.

III.

ჩვენ ზევით ვუჩვენეთ, რომ პირველ ყოფილ საზოგადოებაში არავითარი განხეთქილება არ არსებობს, რადგანაც იქ არ არის ადამიანის ადამიანის მიერ გაყვლეფა, ექსპლუატაცია; გარდა ამისა ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველ-ყოფილ საზოგადოებაში ჩვენ ვერ ვპოულობთ იმის ნასახსაც, რასაც შემდგომი მთავრობა ანუ უფროსობა დაერქმევა. ამნაირათ, პირველ-ყოფილ საზოგადოებაში როგორც არ არის ერთი ადამიანის მეორე ადამიანის მიერ გაყვლეფა, ისე არ არის არც ერთი ადამიანის მეორესადმი დამორჩილება, დამონება, არ არის უფალი და მონა, უფროსი და ქვეშევრდომი, ბატონი და ყმა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა ადრე თუ გვიან იცვლეფა, მარტივი საზოგადოებრივი ურთიერთობა რთულდება, საზოგადოება თანდათან იყოფა მოწინააღმდეგე ჯგუფებათ, და ამ მოწინააღმდეგე ჯგუფებს შორის განხეთქილება რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო იზრდება და ნწვაფდება. ჩვენ შეგვიძლია დღეს გავითვალისწინოთ, თუ როგორ წარმოდგა უფალი და მონა, უფროსი და ქვეშევრდომი, ბატონი და ყმა, თანამედროვე კაპიტალისტი და დაქირავებული მუშა.

საწარმოო იარაღების გამოგონებამ, ე. ი. საწარმოო ძალთა განვითარებამ, ზრდამ, როგორც მეორე წერილში გვქონდა ნათქვამი, გამოიწვია შრომის განაწილება პირველ-ყოფილ საზოგადოების წევრებს შორის. პირველ ხანებში ეს განაწილება არ იყო მაინც და მაინც საგრძნობელი, რადგანაც თვით იარაღი და საწარმოო საგნები იმ დროს მეტათ მარტივი და სადა იყო. როგორც იარაღის ხმარება, ისე საგნების წარმოება-გაცემება ჯერ კიდევ არ თხოულობდა თავის სიმარტივის გამო თითქმის არავითარ მომზადებას; მაგრამ რაც ხანი გადიოდა, საწარმოო იარაღი რთულდებოდა, რთულდებოდა ამიტომ წარმოების საგნებიც; ამიტომ როგორც იარაღის ხმარებისათვის, ისე ნივთების გაცემებისთვის საჭირო იყო მომზადება, გამოცდილება. ამიტომ ჩვენ კიდევ უძველეს დროში, ისტორიის წინა ხანებში, ვამჩნევთ ერთი მხრით ხელოსნებს, რომლებიც დახელოვნებული არიან სხვადასხვა საგნების თუ იარაღების გაკეთებაში და მეორე მხრით მიწის მუშებს. ასეთ საზოგადოებაში შრომის განაწილებას უკვე საკმარისათ დიდი ნაბიჯი აქვს გადადგმული, რაც პირდაპირი შედეგია საწარმოო ძალთა

ყოველკვირეული ჟურნალი
„მობზაური“
 (წელიწადი მუხუთე—პირველი)

გამოდის 1905 წლის 16 იანვრიდან ვრცელი პროგრამით.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: ფ. მახარაძე, ივ. გომარათელი, ი. ევლოშვილი, ნ. ელიაშვილი, ნ. კალანდაძე, ის. კვიციანიძე, ლალიონი, გ. მარშალაძე, შვირილედი, კ. ჯაფარიძე, ალ. წულუკიძე, გრ. წულუკიძე და სხვები.

ჟურნალის ფასი გავზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში: ერთი წლით—**5 მან.**, ნახევარი წლით—**3 მან.** ცალკე ნომერი—**15 კაპ.** ადრესის გამოცვლა—**40 კაპ.** წლიური ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ბფილისში—„მოგზაური“ რედაქციაში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მალაზიაში—შიო ქუთუაშვილთან; ე. გალიაშვილის მალაზიაში (კორინი ქუჩა) და ნაძალადეგში—წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.

ბათუმში—ანასტასია გოგოლაშვილთან.

ბაქოში—ტერენტი წერეთელთან (ქალაქის საბჭოში).

ბანჯაში—ი. ევლოშვილთან.

ქუთაისში—ის. კვიციანიძესთან (ამხანაგ. „კოლხიდა“)

ოჭურბეთში—ს. თაყაიშვილის წიგნის მალაზიაში და ქან თამარ შარაშიძესთან

ლაჩხუთში—ივანე კალანდაძესთან.

ჩოხატაურში—ალექსანდრე დოლიძესთან.

ხენათში—არსენ წითლიძესთან.

სამტრედიანში—ყარამან ნანაიშვილთან.

ხონში—ეკიმ პ. ლ. კიკელიშვილთან.

მიათუხარში—ირაკლი დევანოზიშვილთან.

ჯისტაფორში—სოლომონ წულაძესთან.

საბ. მიხაილში—ივანე ომიანიძესთან.

დ. გორში—არსენ კალანდაძის წიგნის მალაზიაში.

ჟურნალისთვის დანიშნული წერილები და ყოველგვარი კორესპონდენცია უნდა იგზავნიდოდეს პირდაპირ რედაქციის სახელმძღვანელოში დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები და მოთხრობები, რომელთა დაბეჭდვას რედაქცია ვერ სცნობს შესაძლებლად, შეინახება მათის განმარტებაში, ხოლო სხვა წერილებისა და კორესპონდენტების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერა-მოწერას არ კისრულობს. ესაც რედაქციისაგან წერილთ პასუხის მიღება სურს, უნდა წარმოადგინოს ფოსტის ხარჯი.

რედაქცია იმუდგება: ტფილისში, ნიკოლაშვილის ქ., სსხ. № 44.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „МОГЗАУРИ“.

ზრდა-განვითარებისა. მაგრამ საწარმოვო ძალთა განვითარება ხომ ერთ წერტილზე არ ჩერდება: უბრალო, მარტივი იარაღის გამოგონება იწვევს უფრო რთულ და გაუმჯობესებულ იარაღის გამოგონებას, და ამასთან ერთად შრომის განაწილება საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო საგრძნობელი ხდება. საწარმოვო იარაღების გამოგონება და შრომის ეკონომიური განაწილება თემში ანაყოფიერებს შრომას; ახლა ადამიანს ბევრათ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, ვინემ მაშინ, როცა ასეთი განაწილება სრულდებით არ იყო. შრომის ეკონომიურად განაწილება თემის წევრებში უკვე ქმნის ნიადაგს და ამზადებს იმ პირობებს, რომლებსაც საშუალებით თემის წევრს გაუადვილდება და შეძლება მიეცემა მეორე წევრი შეავიწროვოს, მუქათათ ისარგებლოს მისი შრომის ნაწარმოებით და გადაქციოს იგი თავის მონა-მორჩილათ. მაგრამ ჯერ კიდევ ჩვენ თავისუფალ თემში ვართ. აქ შრომა განაწილებულია: ერთი აკეთებს სადურგლო საქმეს, მეორე მკვლავობს, მესამე მწყემსია, მეოთხე მიწის მუშა, და ყველანი იკმაყოფილებენ თავის მოთხოვნილებებს ერთი ერთმანეთის დახმარებით: რაც ერთს აკლია, იგი სხვას აქვს და პირდაპირ ნაწარმოებზე ხდება გაცვლა-გამოცვლა. ასეთ თემს ყავს განსაკუთრებული მემსიციც, მომღერალი, რომელიც აკმაყოფილებს თემის ესტეტურ მოთხოვნილებას, და თემი კი თავის მხრით აწვდის მას საზრდოს თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. მაშასადამე, აქ ჩვენ ვერ ვხედავთ თემის წევრებში განხეთქილებას, ერთი მეორეს მოწინააღმდეგე ჯგუფებს. ეს არის თავისუფალი თემი, რომელშიაც ყოველგვარ სეარათ საქმეს განაგებენ თემის მიერ არჩეული მოხუცი, გამოცდილი და საპატიო პირები. ამნაირათ წარმოების იარაღთა გამოგონებით და გაუმჯობესობის წყალობით რაც იმავე დროს საწარმოვო ძალთა ზრდა-განვითარებას ნიშნავს, შრომის ეკონომიურათ განვითარებასთან ერთათ თემში, ფებს იკიდებს თემის ნაწილ-ნაწილათ დაყოფათ: ერთი მხრით ჩნდება ხელოსნები, რომლებიც ამზადებენ თემისთვის სხვადასხვა სამუშაო იარაღს და საცხოვრებელ სადგომებს და სანადირო იარაღებს, და მეორე მხრით მიწის მუშები და მწყემსები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებით კვებავენ და ასაზრდოებენ თემს. ამ ორ ნაწილს შორის არ არსებობს არავითარი განხეთქილება, ისინი ერთმანეთში პირდაპირ ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლით იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებებს. ეს გაცვლა არ არის აწენებული იმაზე, რომ ნაკლები შრომით მეტი საღირალი შეიძინო, ე. ი. სხვისი შრომით ისარგებლო, ძალა დაატანო სხვას, რომ მან მთელი დღის ნაწარმოები ნახევარი დღის ნაწარმოებში მოგცეს; ერთი სიტყვით იქ ადგილი არა აქვს ექსპლოატაციას, ზედ-მეტი ღირებულების შექმნას, მოგებას. აქ არ არის მდიდარი და ღარიბი, ყველანი ერთნაირათ მდიდრები და ღარიბნი არიან. ყოველგვარ საქმეს აქ აწესრიგებენ სათემო კრებაზე, რომელზედაც ყველანი ღებულობენ მონაწილეობას, პირველ ხანებში ქალებიც, რომლებიც მხოლოთ შემდეგ კარგავენ ამ უფლებას. მაგრამ ამ თავისუფალ თემებს მუდმივი შეტაკება და ომი უხდება მახლობელ, მეზობელ თემებთან. მისი კეთილდღეობა იმაზე დამყარებული, მოიგერებს იგი გარეშე მტრების თავდასხმას და გაუმკლავდება იმათ მიერ აკლებას თუ არა. აქ ყურადღების ღირსი არის შემდეგი გარემოება: ყველა თემების განვითარება, წინსვლა, ერთნაირათ როდი ხდება. სხვადასხვა მიზეზების გამო, რომლებსაც აღნუსხვა აქ ჩვენ შორს წაგვიყვანდა; ზოგი თემი უფრო ადრე გაშლის ველურ მდგომარეობიდან, ზოგი უფრო გვიან, ზოგიც დიდ ხანს რჩება პირველყოფილ მდგომარეებაში. ასე რომ ახლო-მახლო მცხოვრები თემები ერთ და იმავე დროს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ღვანან. მაშინ როცა ერთ

თემს თარეშობისათვის და წაწლისთვის დიდი ხანია დაუნებებია თავი და მიწის შემუშავებას და ან საქონლის მოშენებას შედგომიან განსაზღვრულ ტერიტორიაზე, იმის მეზობლათ ცხოვრობს ისეთი თემი, რომელსაც განსაზღვრული საბინადრო ადგილი სრულდებით არ აქვს, რომელიც მუდამ იცვლის ადგილს და ნადირობით და მეზობელ თემის აკლებით იკვებება. ამიტომ აშკარაა, რომ მიწათმოქმედ თემებმა უნდა უმტკველათ ამიტომ თავიდან ამ მოთარეშე თემების თავდასხმა, თუ რომ თავისი არსებობა სურთ შეინახონ. ამიტომ აუცილებელი ხდება გარეშე მტრების მოსაგერებელი ორგანიზაციის შექმნა. რადგანაც იმ დროს თავდასხმა და აკლება სრულდებით შემთხვევითი მოვლენა არ არის, არამედ მუდმივი, ამიტომ მიწათმოქმედმა თემებმა ან სრულდებით უნდა გაანებონ თავი მიწის მუშაობას და ისევ თარეშობას მიყონ ხელი, ან და უნდა გამოიყონ თავის წრიდან რამდენიმე კაცი და იმათ მიანდონ გარეშე მტრების თავდასხმის მოგერება და სამაგიეროთ იმათ აძლიონ საზრდო. თეთა უმეტესობა, ეჭვი არაა, ამ უკანასკნელ გზას უნდა დადგომოდა და დაადგა კიდევაც. ასეთმა თემებმა გამოიყვეს თავისიანებიდან რამდენიმე კაცი და იმათ მიანდვეს მჭობელი თემების თავდასხმის მოგერება და ქულის სწავლებაც, რომ ასეთი თავდასხმა იმათ იაფათ არ დაუჯდებოდათ. ასეთ პირებს და განსაკუთრებით იმათ მეთაურს, ბეულადს, თემი ირჩევს გამოცდილ, ნნენ და გაბედულ წევრთაგან. რაც დრო გადის, ეს არჩევა საქმით, სინამდვილეში, კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში ისე ხდება, რომ მუდამ თითქმის ერთ და იმავე პირებს ირჩევენ ამ მიზნით. ამნაირათ ჩნდება და თანდათან ვითარდება თემში განსაკუთრებული ჯგუფი ანუ კლასი, რომლის დანიშნულება ის არის რომ მტრების თავდასხმა მოიგერიონ. მაგრამ დრო გადის, და ამ მაგერებას ისინი აღარ ჯერდებიან, თითონ ესხმიან სხვა თემებს, იმორჩილებენ, ატყვევებენ, ძარცვვენ და ართმევენ საზრდასა-საზადებელს. რა თქმა უნდა, პირველ ხანებში ამ ნადავლს ისინი მთელ თემს უნაწილებენ, მაგრამ შემდეგში ეს ჩვეულება თანდათან ისპობა—ნადავლი მხოლოთ რამდენიმე პირის საკუთრება ხდება, უფრო კი იმის, რომელიც მეთაურის როლს ასრულებს. ნადავლის დიდ ნაწილს იგი თავისთვის იტოვებს და მხოლოთ მცირე ნაწილს უთმობს დანარჩენ მეომრებს. აქედან იწყება თემის ბელადის, ანუ მეომრების მეთაურის გავლენა როგორც მეომრებზე, ისე მთელ თემზე. მეომრები ხდებიან თავიანთ მეთაურის ბრძანების აღმასრულებელნი და როცა გარემოება მოითხოვს, უკანასკნელს შეძლება ექნება იმათი ძალა თვით თემის წევრების წინააღმდეგ მოიხმაროს. ეს გარემოება დიდ ხანს აღარ გვალოდინებს.

თემების ურთიერთ თავდასხმის და შეტაკების დროს ხშირათ აღამიანებაც უფარდებიან ერთი მეორეს ტყვეებათ. პირველ ხანებშიაც ხდებოდა ეს ასე, მაგრამ მაშინ ტყვეებს ან ხოცავდენ და იმათ ხორცს ჭამდენ, ან და სრულდებით ათავისუფლებდენ, რადგანაც ისე იმათი შენახვა არავის ხელს არ აძლევდა; იმ დროს ადამიანის შრომა არ იყო იმდენათ ნაყოფიერი, რომ იმას თავის მუშაობით თავიც დაერჩინა და სხვაც გამოეკვება. ეს იმას ამტკიცებს, რომ პირველ ხანებში ტყვეების შენახვას ხელს უშლიდა საწარმოვო ძალთა განუვითარებლობა. მაგრამ გარემოება შეიცვალა: წარმოების იარაღთა გამოგონებამ, ე. ი. საწარმოვო ძალთა განვითარებამ, გამოიწვია ის, რომ ახლა ერთ კაცს ბევრათ იმაზე მეტი შეუძლია გააკეთოს, რაც მის შენახვას უნდება. პირუტყვის მოშენებაც ასეა: იგი ბევრათ იმაზე მეტს აძლევს მის პატრონს, რაც მისი შენახვა ღირს. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო, რომ ადამიანი უბრალო პირუტყვის მდგომარეობაში ჩავარდნილიყო. და

აი სწორეთ ეს მოხდა. იმის მაგივრათ, რომ ტყვეები დაეხოცათ, უფრო სასარგებლოთ დაინახეს ისინი შრომის უღელში ჩაებათ. ამნაირათ მიეცა დასაწყისი მონობას, რომელიც ერთ დროს უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა მთელი საზოგადოებრივი წესწყობილების და რომელიც სასესებით დღემდისაც არ აღმოფხვრალა საზოგადოებრივ ცხოვრებისაგან. მონა იგივე პირუტყვია, მხოლოთ ადამიანის სახით: მას ამუშავებენ, როგორც პირუტყვს, და იმავე დროს აძლევენ საკვებ მასალას, რომ უჭმელი არ მოკვდეს. მისი შრომის ნაყოფს საესებით ისაკუთრებს მებატრონე. ამნაირათ ჩვენ მივანხვინეთ იმ სათავესთან, სილანაც იწყება ადამიანთა შრომის უთანასწორობა, ჩნდება განხეთქილება, ერთი ადამიანისაგან მეორე ადამიანის დაჩაგვრა. ეს მიყვება ისტორიას წითელი ზოლებით; მისი პირველი საფეხური არის მონობა, უკანასკნელი კი დაქირავებული შრომა თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოების დროს.

ახლა ვიკითხოთ, თუ ვინ არიან ისინი, ვინც პირველათ დაებატრონენ მონების შრომას, ვინ შეიქნა პირველი მხაგვრელი და შემავიწროებელი ადამიანისა? რაც კი ამის შესახებ ჩვენ გვაქვს, ყოველივე მოწმობს, რომ ასეთები იყვნენ უპირველეს ყოვლისა ისინი, ვისაც თავის დაკვა ქონდა მინდობილი, ვინც ივრებდენ მტრების თავდასხმას და თავის მხრით ვინც სხვებს ეცემოდენ და იკლებდენ. ერთხელ შემოღებული მონობა საოცარი სისწრაფით ვითარდება, იზრდება. და აი საზოგადოებაში ჩნდება განხეთქილება, რომელსაც სარჩულათ უდევს ერთი მხრით ადამიანის დაჩაგვრა და დამონება და მეორე მხრით ქონებრივი უთანასწორობა. მონების შრომით სარგებლობა საზოგადოებას უმცირესობას ხელში უგდება დიდ ძალ სიმდიდრეს, რომელსაც იგი ხმარობს თავის გაღვინის და ბატონობის გასაგრძელებლათ და განსამტკიცებლათ. თემის მეთაურები, თემის მიერვე არჩეულები, რომლებიც წინეთ მისი მორჩილი და ერთგული იყვნენ და თემის საერთო ინტერესებს იცავდენ, ახლა ფეხ ქვეშ თელავდენ თემის უფლებებს, და როცა მათი ინტერესები მოითხოვს ავიწროებენ თემს ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ეს შევიწროება ახლა გაადვილებულია, რადგანაც იმათ დახელოვნებული მეომრები ყავთ თავის ხელქვეშ; მონების მუქი შრომა საშუალებას აძლევთ, რომ იმათ თემის წინაშე თავი არ მოიხარონ. ახლა ამათ ადვილათ შეუძლიათ, როგორც გარეშე მტრების დაჩაგვრა და აკლება, ისე თავისი თემის წევრების დამორჩილება და მათზე გაბატონება. ახლა კი ეს ბელადები სრულებით დამოუკიდებლათ მოქმედებენ; ომი მათთვის აუცილებელ საქმეებას შეადგენს თავისი გაღვინის და ძლიერების განსამტკიცებლათ. ისინი იმორჩილებენ ახლო-მახლო თემებს და ამასთანავე ამრავლებენ თავის მონების რიცხვს, და ამით თავის ქონებას და ნივთიერ შეძლებას ადიდებენ. ისინი ახლა აღარ არიან უბრალო მეთაურები, ისინი უკვე მეტათ გამოჩენილი პირები შეიქნენ; მათ გარს ახვევია მთელი ამალი. ვილას შეუძლია ახლა იმათი დათხოვა, თანამდებობიდან გადაყენება? თემს ახლა ამის აღარაფერი ეკითხვის. ხალხი ჯერ ერთი ან რამდენიმე წლით ირჩევდა თავის მეთაურებს, შემდეგ—სიკვდილამდის, ბოლოს კი ეს უფლება სრულიად დაკარგა და მეთაურებმა თითონ მოინდომეს თავის მოვალეობის გადაცემა თავისივე შეილებზე. ეს კი ძირითადი ცვლილება იყო; იგი არ მომხდარა ერბაშათ, იგი ნელნელა ხდებოდა. ამ ხანაში კი წინანდელი თავისუფალი თემი გამქრალია; მისი ადგილი უქირავს საზოგადოებას, რომელშიაც მოქმედებენ სხვადასხვა ჯგუფები და რომელიც დამორჩილებული ყავს ერთ ან რამდენიმე პირს მთავრის ან მეფის სახელით. რადგანაც ასეთი საზოგადოების ჯგუფებათ დაყოფა და მისი

არსებობა დაფუძნებულია უმთავრესათ მონების მუქი შრომაზე, ამიტომ იქ არსებულ წესწყობილებას მონური ეწოდება. ეს იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ იმავე საზოგადოებაში სრულებით აღმოფხვრილი ყოფილიყვენ თავისუფალი მუშაკები. მონური წესწყობილება მხოლოთ იმას აღნიშნავს, რომ უმთავრეს ძარღვს ეკონომიური ცხოვრებისას შეადგენდა მონების შრომა. მონობა შეიცავს დიდ ხანას; იგი მოღებული იყო მთელ ძველ ქვეყანას; იმაზევე იყო დამყარებული ძველი ბერძნების და რომაელების ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება, რაც ასე ცუდით დაბოლოვდა. როგორ და რა მიზეზებმა გამოიწვია მონობის დამხობა და რა მიველინა კაპიტალიზმის იმის მაგივრათ?—ამის გამოკვლევას შემდეგ ვცუდებით.

ფ. შახარაძე.



ბაქოში მომხდარ ამბების გამო.

მეტათ სახარელი და აღმაშფოთებელი ამბები ხდებოდა ბაქოში და მის ახლო-მახლო მიდამოებში, საბუნჩა-ბალახანაში, მთელი ხუთი დღის განმავლობაში, 6 თებერვლიდან 10-მდე. ჯერ კიდევ სანამ გაზეთებიდან რასმეს გავიგებდით, ადგილობრივ საზოგადოებაში ხმა გავრცელდა, რომ ბაქოში მაჰმადიანები და სომხები ერთმანეთს ხოცვენ და ჟღერტენო. არავინ არ იცოდა, თუ რა იყო ამ საშინელი ამბის მიზეზი. ყველასთვის მოულოდნელი იყო ასეთი ამბის გავონება, თუმცა კი შინიოვისა და გომელის ამბების შემდეგ ჩვენთვის გასაკვირველი არაფერი არ უნდა იყოს. დღეს რამდენათაც ვიცით გაზეთებიდან, ბაქოში მომხდარ ადამიანთა ჟღერტა-ხოცვის საბაბი ერთი მაჰმადიანი ტუსალის სიკვდილი ყოფილა სომეხ სალდათის მიერ. ეს ტუსალი გამოძიებლიდან სატუსალოში მიყავდათ, გზაზე გაქცევა მოუნდომებია და სალდათს მოუკლავს. ამის შემდეგ ერთი მისი ნათესავთაგანი მისულა სომხის საყდრის ეზოში და მოუკლავს ეს სალდათი. სომხებს დაუქვრიათ მკვლელი და პოლიციისთვის ხელუკუთათ, მაგრამ პოლიციის იქვე გაღუშვია იგი. მკვლელი გელ-ახლა დაბრუნებულა ციკვისის ეზოში და სამჯერ უსრია რევოლვერი. ამის დანახვაზე სომხებსაც ამოუღიათ რევოლვერი და იქვე მოუკლავთ იგი. აი ამით დაიწყო ეს საშინელი ჟღერტა-ხოცვა და შურის ძიება. შეუძლებელია იმის აწერა, რაც ბაქოში რამდენიმე დღის განმავლობაში ხდებოდა—უცნობი და ნაცნობი, ვინ იცის რისთვის ერთი ერთმანეთს ხოცავდენ, კლავდენ, ჟღერტდენ, რითაც კი შეიძლებოდა, თოფით, რევოლვერით, დანით. ადამიანის გამხცვებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ქუჩები მოკლულებით და დაქრილებით მოიფინა და ადამიანების სისხლით შეიღებდა! არ არჩევდენ არც დიდს და არც პატარას, არც ქალს და არც კაცს, ვინც მოხვდებოდათ ყველას განურჩევლათ ხოცავდენ. ყოველგვარი წარმოება შეწყდა, ქუჩაში ვეღარავინ გამოდიოდა. ყველა შიშის ზარს შეეპყრო.—ახლა ვიკითხოთ, განა შესაძლებელია უბრალო მკვლევობას, ერთი კაცის შურისძიებას, ასეთი საყოველთაო სისხლის ღვრა, ასეთი საყოველთაო შურისძიება გამოეწვია? ეს მეტათ დამამუქრებელი ამბავია! როგორ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ერთათ მცხოვრებ ერთა შუა ასეთი სიძულელი, ასეთი უსაზღვრო მტრობა ყოფილა დამარბული! თუ ეს ასეა, და ამაში დღვის შემდეგ არავითარი ეჭვი არ უნდა შევიტანოთ, რაღაფერ შეიძლება, რომ ეს ხალხნი, გამსკვალულნი უსაზღვრო სიძულელით და მტრობით ერთიმეორის მიმართ, ერთათ ცხოვრობდენ, ერთ და იმავე საზოგადოების წევრებათ იყვენ? როცა ჩვენ გვეუბნებიან და გვარწმუნებენ, რომ დღევანდელი საზოგადოება საუკეთესო ფორმაა საზოგადოებრივ ცხოვრებისა, რომ აქ ადამიანის

პიროვნება და მისი ქონება უზრუნველყოფილია, რომ საზოგადოებრივი მშვიდობიანობა მკვიდრ საფუძველზე დამყარებული იქნება, — ჩვენ სრული უფლება გვაქვს ყოველივე ამნაირი დღიური ცალბათ ჩავუვალოთ, და მწარე დაცინვით მივიღოთ. არა, ის საზოგადოება, ის წესწყობილება, რომელიც თავის გულში აღვივებს და იმარხავს ასეთ სიძულვილს, ასეთ მტრობას ურთიერთ წყევლებისადმი, იგი საზოგადოება ყალბ საფუძველზე დაყრდნობილი და ადრე იქნება თუ გვიან იგი უნდა დაინგრეს და სულ სხვა საფუძველზე უნდა აშენდეს, რომ შემდეგში აღარ განმეორდეს ამის მსგავსი რამ. — მეორე მხრით, ბაქოს ისტორიაში გასაკვირალია მეორე მხარე, რას აკეთებდა ამ სახარელი ამბების დროს ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელსაც მინდობილი აქვს მცხოვრებთა დაცვა? იმ დროს როცა მისი დახმარება ყველაზე უფრო საჭირო იყო, იგი განზე გამდგარა და გამხცვლებული ხალხი ერთმანეთისთვის მიუშვია: ხოცეთ და ჯლიტეთ ერთმანეთი, ეს ჩვენი საქმე არ არის! ყოფილა შემთხვევა, რომ პოლიციას და ჯარის კაცებს უთქვამთ: „ჩვენ ნაბრძანები არა გვაქვს ამაში ჩავერიოთ“ („Нов. Обозр.“ № 26); ყოფილა შემთხვევა, რომ პოლიციის მოხელეებს ფულიც აუღლიათ შემწეობის აღმოჩენისათვის (იქვე), მაშინ როცა კანონით ეს სასტიკი აკრძალულია, რადგანაც პოლიცია ამ შემთხვევაში მოვალეა შემწეობა აღმოუჩინოს. თუ დაუკვირდები იმას, რაც დღეს ჩვენ ქვეყანაში ხდება, ბაქოში მომხდარ ამბების შემდეგ ყველა აშკარათ უნდა მიხედვს, რომ დღევანდელი საზოგადოებრივი უკმაყოფილება შემთხვევითი და წარმავალი როდია, არამედ იგი გამოწვეულია იმ ღრმა იარებით, რომლებიც დღევანდელ საზოგადოებას აჩირქიანებს.

ს ხ ე ა და ს ხ ე ა ა მ ბ ე ბ ი.

უმაღლესი ბრძანება უმარტებულეს სენატს: „ეხლანდელ ომის დროს იაპონიასთან წითელი ჯვარი და ავთომყოფ მეომართა საშველათი დიდ ხარჯს თხოულობს ეხლა წითელ ჯვრის მოქმედება იმდენით ვაფართოვდა, რომ გაცილებით მეტი ხარჯი მოუხდა, ვიდრე სხვა ომების დროს უნდებოდა ხოლმე. საჭიროთ ვთვლით წითელ ჯვარს დავებმართოთ, მაგრამ ისე კი, რომ სახემწიფო ხაზინის თანხას ხელი არ ეხლოს და ამიტომ ვბრძანებთ, გამოიცეს დროებითი წესი თანხებით ჩვენის ბრძანებისა 1900 წ. 28 ივლისის თარიღისა და დაწესდეს; 1) ეხლანდელ ომის გათავებამდე წითელ ჯვრის სასარგებლოთ გადიდდეს საზღვარგარეთის პასპორტის ფასი 10 მანეთამდე; 2) საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ იმ პირთ, რომელთაც რუსეთის საელჩოებისა და საკონსულოებისაგან აქვთ მიცემული პასპორტი, გამოერთვათ ხუთ-ხუთი მანეთი, თუ ამ პასპორტს ვადა გასული აქვს. და 3) იმ უცხოელთ, რომელნიც რუსეთიდან რუსული პასპორტებით მიდიან, თითო ნახევარ წლის პასპორტში გამოერთვათ წითელ ჯვრის სასარგებლოთ ხუთ-ხუთი მანეთი. სენატი ამის შესახებ შესაფერს განკარგულებას მოახდენს“.

პეტერბურგიდან ცნობა მოვიდაი მის შესახებ, რომ იქ მომხდარა პირველი სხდომა იმ საგანგებო რჩევისა, რომელსაც მინდობილი აქვს ბეჟუდის სიტყვის ახალ წესების პროექტის შედგენა და რომლის თავჯდომარე კობეკოა. რჩევის ხანგრძლივი კამათის შემდეგ, ერთხმად მიუღია, რომ დროგამოშვებითი გამოცემები როგორც სატახტო ქალაქებში, ისე პროვინციაშიაც, უცნაურა გამოიყენ და პასუხის გება მათი მხოლოდ სასამართლოს წინაშე იქნება.

გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია: „12 იანვარს, ბაქოში, როდესაც ტუსალი ბალა-აღა-მეშედი-მამედ-რიზა-ოღლი, რომელსაც მკვლელობა ბრალდებოდა, გამოძიებლიდან ბრუნდებოდა, მოიწადინა გაქცევა. ტუსალს თან ახლდნ სალიანის მე-262 პოლიკის სალდათები ნიკოლოზ არუთინიანცი დაკარაპეტ შაბახანოვი. როდესაც ზემოხსენებული ტუსალი გაიქცა, სალდათები გამოუდგნენ და უსრაოლელათ რამდენსამე ადგილას დასტრეს, რის გამოც ტუსალი გზაში მოკვდა. ამის შემდეგ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ხმა გავარდა, ძალათ მოკლეს ტუსალიო. ბაბა-აღის მამა ქერბალიაფარუხმა ფორმალური თხოვნა გადასცა ბაქოს გუბერნატორს; ამის გამო ამ ეამათ გამოძიებაც წარმოებს. მაგრამ ვიდრე საქმის ნამდვილი ვითარება გამოიკვლიოდა, 6 თებერვალს მომხდარ ამბის გამო ქ. ბაქოში, მოედანზე, ორ ადგილობრივ მცხოვრებს შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც ერთი მძიმეთ დაიჭრა. ამან მცხოვრებთა შორის მოძრაობა გამოიწვია, რასაც ძალმომერება მოყვა. სულ მოკლულ და დაჭრილ იქნა 35 კაცი. 7 თებერვალს საქმე გამწვავდა და შეიარაღებული თავდასხმა განაგრძეს. წესიერებისა და მშვიდობიანობის აღსადგენათ ბაქოში მიღებულ იქნა საჭირო ზომები“.

თფილისის სამოსამართლო პალატის განკარგულებით 23 იანვარს თფილისში ვაფიციულ მუშების მანიფესტაციის დროს მომხდარ უწყსოებათა გამოძიება მიენდო საგანგებო საქმეთა გამოძიებელს რიზინსკის. ადმინისტრაციამ იმ დღეს საშოცზე მეტი კაცი დააპატიმრა. ბ-ნმა რიზინსკიმ ოცზე მეტი დაპატიმრებულ თავანი, როგორც სრულიად უდანაშაულონი, უკვე გაათავისუფლა საპრობილედან.

როგორც გაზ. „ცნობის ფურცელი“ გადმოგვცემს, ქუთათურმა ფარმაცევტებმა, სხვათა შორის, შემდეგი მოთხოვნით განიწყვეტეს: შემოღებულ იქნას აფთიაქში მოსამსახურე პირთა დღეში ორჯერ შეცვლა, ფარმაცევტებს მიეცეთ თავში ბინისა და სასმელ-საქმლის ფასათ 30 მანეთი; აფთიაქის მოწაფეებს მიეცეთ ჯამაგირათ პირველ წელს თვეში 10 მან., მეორე წელს—15 მანეთი და მესამე წელს—25 მანეთი; პროვიზორის თანაშემწეთ მიეცეთ პირველ წელს თვეში 45 მანეთი, მეორე წელს—50 მანეთი და მესამეს—55 მან.; აფთიაქში არ უნდა იღებდნენ შტატს ვარეშე მოსამსახურეთ უკმაგირათ; ავადმყოფობის დროს მოსამსახურეებს ერთი თვის განმავლობაში ეძლიოთ სრული ჯამაგირი და ადგილიც არ დაეკარგოთ; მოსამსახურეს დათხოვნის დროს უნდა მიეცეს ერთი თვის ჯამაგირი და მასთან ერთი თვით ადრეც უნდა გამოუცხადონ დათხოვნა და სხვა. ჩამოთვლილ მოთხოვნებთა გამო სხდომა ჰქონდა ქალაქის საფთიაქო კომისიას, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ კერძო მოაფთიაქნიც. კომისიამ მეაფთიაქებთან ერთათ შესაძლებლათა ცნო სრულიად დაეკაყოფილებინა ფარმაცევტების მოთხოვნილებანი, ვარდა მეორე მუხლისა, სადაც ისინი თხოულობდნ ბინისა და სასმელ-საქმლის ფასათ თვეში 30 მანეთს; ნაცვლათ 30 მანეთისა შესაძლებლათ სცნეს მისცენ თვეში 25 მანეთი. ორი-სამი დღის მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, ფარმაცევტები ისევ დაუბრუნდნ აფთიაქებს.

7 თებერვალს თფილისის მცხოვრებლებმა ქალაქის თავს საბჭოში განსახილველოთ კოლექტიური განცხადება წარუდგინეს, რომელზედაც რამდენიმე თას კაცს უწერია ხელი. ამ განცხადებაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ დღევანდელ პირობებში ცხოვრება აუტანელი ხდება, რადგანაც კა-

წონიერება და წესი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა ბიუროკრატიის წარმომადგენელთა მიერ. მცხოვრებნი თხოულობენ, რომ ქალაქის საბჭომ რამე იღონოს ქალაქში უწყისობის მოსახლობათ. საკვირველია, რომ მოქალაქენი საბჭოსაგან მოელიან ხსნას, როცა ხსნა მხოლოდ იმათგან შეიძლება, ვასაც ძალა აქვს, და ძალა კი ყოველთვის თვით მცხოვრებლების ხელშია. ვინემ ქალაქის საბჭოს დარბაზში.

ქუთაისის სამკურნალო საზოგადოების კრებას, 18 იანვარს სხდომაზე, დაუდგენია თანაგრძნობითი წერილი გაგზავნოს ექიმ ნ. გ. ჭიჭინაძეს, რომელიც მის უნებურათ მოშორებია ქუთაისში მოღვაწეობას. მაგრამ ოქმის შემდგენელს „გულმავიწყობა“ გამოუჩენია და ეს განაჩენი ოქმში არ შეუტანია, ასე რომ შემდეგ სხდომაზე, რომელიც 25 იანვარს მოხდა, კრებას ხელახლა მოუთხოვია ამ დადგენილების განმეორება.

გაზ. „კავკასის“ სიტყვით, 31 იანვარს, საღამოს 9 1/2 საათზე, სოფ. იგდირში სომეხთა რევოლუციონერებს მოუკლავთ პოდესაული გენერალი. მკვლელების შესაპყრობათ სასტიკი ზომები მიიღიათ.

თელავის მაზრის უფროსს უთხოვნია თფილისის გუბერნატორისთვის გვიშუამდგომლეთ საქართველოს ექსარხოსისა და სომეხთა სასულიერო მთავრობის წინაშე, რომ თელავის მაზრაში ეკლესიების სამრევლოები დაკეტონ და გასაღებები მღვდლებს ჩააბარონ, რადგანაც ამ ბოლო დროს, როცა აღელვებულ ხალხს თავის მოყრა სურს მთავრობის საწინააღმდეგო ყრილობის მოსაწვევათ, სამრევლოებზე აღიან და ზარებსა რეკენო. ეს გარემოება თურმე ძლიერ ხელს უშლის პოლიციას თავმოყრილ ხალხის გასაფანტავათ.

სამინაო საქმეთა მინისტრის განკარგულებით გაზეთებს „ნაშა ჟიზნ“ და „ნაში დნი“ გამოეცხადა მესამე გაფართობილება და შეჩერებულ იქნენ სამი თვის ვადით.

თფილისის გაზეთებში ამოვიკითხეთ, რომ ცნობილ პალმს თავის გაზ. „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ ბათუმიდან სხვაგან გადააქვსო. როგორც ჩვენ ბათუმიდან გვეწერენ, ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ ასოთ ამწყობებს კატეგორიული უარი განუტხადებიათ ხსენებულ გაზეთის აწყობა-დაბეჭდვაზე. ამ გაზეთის რედაქტორ-გამომცემელს პალმს ყოველი ძალდონე უხმარია განერძო გაზეთის გამოცემა, მარა ვერას გზით ვერ მოუხერხებია. ამის გამო ბ-ნი პალმი თურმე ძილაუნებურათ გაზეთის გამოცემას თავს ანებებს და ბათუმიდან წასვლას აპირებს. გაზეთზე ხელის მოწყობა შორის დიდი მღვდღვარებაა, რადგან ბ-ნი პალმი სდუმს და უკან ფულის დაბრუნების შესახებ არას აცხადებს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას რუსეთის ყველა რკინის გზის გამგეობისათვის უცნობებია, რომ ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ვერ მივიღებთ საქონელს გასაგზავნათ ყვრილი-ბათუმსა, სამტრედია-ფოთსა, რიონ-ტყიბულასა და შორაპან საჩხერიემო. რუსეთის სხვა გზებზედაც შეწყდა საქონლის გაგზავნა, მაგ. პრივისლიანისა, ნიკოლაევისა და სხვებზე.

გაზ. „ახალ მიმოხ.“-ში“ წერია: დაბა ქიათურაში, 1 თებერვალს, მოუკლავთ მარგანციის წვირლ მრეწველთაგანი ნ. ჩხეიძე, რომელიც შარზან უძთავრეს მოწამეთ იყო ქიათურ-

რაში მომხდარ მუშების არეულობის საქმის გარჩევის დროს და რომელმაც ვასცა ისინი, ვინც არეულობაში მონაწილეობას იღებდენ.

ქალ. ოზურგეთში 3 თებერვალს უნდა გახსნილიყო საოლქო სასამართლოს სესია, მაგრამ სესიის გახსნა შეჩერდა. ამბობენ, რომ ვითომც პოლიციის შეეტყობინებოდა სასამართლოსთვის, რომ ოზურგეთში მისი მისვლა საშიშიაო. ხმა დიდის, რომ ოზურგეთის მაზრის პოლიცია სულ ერთიანათ სამსახურს თავს ანებებს; სუფსის ნაწილის პრისტავს ქვეთარაძეს უკვე კიდევაც დაუნებებია თავი სამსახურისთვის. 3 თებერვალს ლანჩხუთის პრისტავის კვაშალის სახლისთვის 37 ჯერ დაუხლნით თოფი, თუმც შიგ მყოფთათვის ზარალი არაფერი მიუყენებიათ.

იმავე გაზეთის სიტყვით, ამას წინათ დაპატრიმებულ ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების კასირის ს. კილაძის მაგივრათ დროებით მიუწყვევიათ ბეჭია, მაგრამ მას ამაზე უარი განუცხადებია.

კორექსიონდენცია.

ძალ. ფოთი. 19 იანვარს რუსეთისა და რუსის საზღვაოსნო საზოგადოების ადგილობრივ კანტორებში მოხელეთა მიერ უოკლეჯარ საკანტარო საქმეთა წარმოება შეწყვეტილ იქნა. ხალხის მტარებელი საფოსტო გემები რუსეთისაკენ ისე გაემგზავრენ, რომ არც ერთი ბიჯეთა არ გაუიღვლა, აგრეთვე საქონლით დატვირთული გემები უძრავათ დგანან რეიდზე, რადგანაც საქონლის ამხუსხველი და შიმღები მოხელენი არსად ჩანდენ და ისე კი გემების დატვირთვა ან გადმოტვირთვა უოვლად შეუძლებელია. გაფიცულთა რაიზები ასს კაცს ადემტრება, რომელთა მომეტრებულ წილს ეგრეთ წოდებული „ინტელიგენტ-პროლეტარები“ შეადგენენ. გაფიცვის მიზეზი ას ანარქისტური საქმეთა ვითარებაა, რომელსაც იმ თავეთვე ადგილი ჰქონდა და აქვს დღესაც კერძო კანტორებში და განსაკუთრებით—საზღვაოსნო საკანტორებში, სადაც მუშაობა წარმოებს დღეში თითქმის 16—18 საათი და ერთს მოხელეს ხშირათ სამი და ოთხი კაცის გასაკეთებელი აწევს კისერზე. ასე გასისჩეეთ ამ კანტორებში მუშაობა კვირა დღეობითაც კი წარმოებს და კანტორაში მოსამსხურვე ზარებს, როგორც ზორტში საქონლის მიმღებთ, კვირაში ოთხი დამე აქვთ უდიდო და აუტანელ შრომაში გასატარებელი; მთავრათ—უვლად საზღვაოსნო კანტორის მოხელეთა მდგომარეობა ბევრათ უფრო უარესია, ვიდრე მძიმე კურტნის ქვეშ რკალივით მოხრილ მუშას, ამ უკანასკნელს თავის სებაზე ხანდახან შესვენება მაინც შეუძლია. მკითხველი, უეჭველია იკითხავს, რასადებენ გასამრჯელოს საკანტორის მოხელენი ასეთის მართლაც რომ საარაკო შრომისთვის და შესაფერისათ უფასვლათ თუ არა შრომა? საუბედურათ, დაბეჭდობათ შემიძლიან ვთქვა—არა და ამ მხრივ არა მგონია რუსეთის რომელიმე კერძო დაწესებულებაში ან ქარხანაში სუფიჯდეს ისეთი მღირე ჟამაგარი, როგორც უხსოვარ დროიდან მოკიდებული დღემდე სუფიჯს განურჩევლათ სუფიჯვლად საზღვაოსნო კანტორებში. ვინ არ იცის, რომ ცხოვრება გართულდა და გაძნელდა, აურებელი მთხრობნილებანი დღითა დღე იზრდება, ათას გვარი ზირდაზირი და არა ზირდაზირი გადასახადები მატრეობენ და საზღვაოსნო კანტორებში მომუშავე მოხელეთა სევაბელი კი ოდესღაც „მას ყომა შინა“ შემუშავებულ ინსტრუქციად—წესდებით ისახდებება.

დღეს მარტო რუსის საზოგადოება რომ ადღათ 120 დიდი და მატრეა გემი ვაგს, წლიური მოგება მიდიონ მანეთს აღემტრება და, სთავიქრებელია, რომ ამ დიად საქმის სთავიქრე მიგომნი (იჯულისხმეთ განვითარებული ზარები) ოდესმე მაინც იფიქრებდენ თავიანთ მოხელეთა აუტანელ მდგომარეობაზე და რაიმე ღონის ძიე-

ბას მაინც მიიღებდნენ ამ მდგომარეობის განსაკარგებლად. მცირე ჯამაგირს თქვენი ჭირი წაუღია, როგორც იქნება კაცი გაუძღვება კიდევ, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ეს ჯამაგირიც კი არ რიგდება სრულად. საქმე იმაშია, რომ უოველივე მოხელე ზასუხის მკებელად მიღებულ საქონლის სიაკარგეში და თვითოეულ ცალის დანა-შენახვაში. საქმარისა რომელიმე ცალი დასუვლებული ან დანახვებულ-დამტრუული აღმოჩნდეს და ან „ტაკსირაგისა“ (ამ უკანასკნელზე დღეში 100 მოკიდებული 200-დე და მეტი ნაკლად-ნოი-გონოსამენტების განხილვა-ანგარიში მოდის) უცაბედად შედგომს მოუვიდეს და—შაბაშ! გნებავს თუ არა შენივე ჯამაგირით გავიბინებე ზასუხს. ბედნაერება ფიფქუბაში შეიფინი, დასავიგონებლად, თავს არ იტკივებდნენ „წერად-ფეხს“ მოხელეთა მდგომარეობაზე, ხან-გრძლივ ფიქრით, მაგრამ ხანს, მოთმინების ფაღალა თავაშდე გავსებულად და ის, რაც დიდი ხანია უნდა აუცილებლად მომხდარიყო, დღეს აღსრულდა კიდევ... რომ ზემოთ ნათქვამი სავსებით დაცემ-ტვირთთ აქვე მოკვდეს მოხელეთა მიერ თავიანთ ატენტებისადმი წარდგენილი მოთხოვნებიანს:

- 1.—ჩვეულებრივი წლიურ ანგარიშის შემდეგ დასაწილად-გებელი ფულის (наградные) რაოდენობა უნდა უდრდეს უოველი მოხელის ორის თვის ჯამაგირს.
- 2.—წი არსებულ ჯამაგირების გადადება სამოცი პროცენტით და უმცირესი ჯამაგირი მოხელის უნდა დაწესდეს არა ნაკლებ 50 მანეთისა (დღეს უფირიგისა ჯამაგირი უდრის 5—10 მანეთს).
- 3.—სამუშაო დღის საათების რაოდენობის განსაზღვრა. ამ მუხლის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიღონ როგორც საზღვაოსნო საზოგადოების წარმომადგენლებმა, აგრეთვე მოხელეთა მიერ არჩეულ პირებმა. და
- 4.—უფასო ექიმო და წაშალი იმ გვარათ და იმ წესით, რა გვარათაც ეს გემებზე მოსამსახურე აღმინისტრაციისათვის არის დაწესებული.

თუ რა მოუყება ამ საიტურესო საქმეს და რითა გათავდება ეს უჩვეულო ინტელიგენტთა გაფიცვა და რამდენათ დააჟამოთვლებენ მათს კანონიერს მოთხოვნებებს თავის დროზე ვაგნობებ პიოტხეულ საზოგადოებას.

ქონდრის კაცი.

ბუჩიბ. ფრიად სავალისებრი და აღსანიშნავია გასული წლები გურულთა ცხოვრებაში. გასულმა წლებმა „სამინელი ქარიშხალი“ მობურა გურიის დაძინებულ ცხოვრებას: გაღვიდა და ახალ გზაზე დააყენა... თუმცა ამავე წლებმა ბევრ კარგთან ცუდიც მოიტანა და პირველათ ძალიან ართვ-დარია უველიფერი, ასე რომ ვინ რას ეკიდებოდა და ვინ რას, მარა შევირცხვამ და ფეხზევამ გურულმა მალე აართვა ადლო, კარგს ჩაჰვიდა, ცუდი უკუვადო და შეუერთდა იმ ძალას, რომელიც ზეენ „დიდ ქვეყანას“ ცეცხლივით მოღებია და იბრძვის უფარვისი ცხოვრების განსაზღვრისათვის... მართლაც, ზოგაერთებებს თუ დაუფრებობთ, „გურამი დიდი სიარტელი ტაშა“, მარა სამაციო არაფერი მომხდარა და ეს „ბერა ჭევის“ ნათქვამი გახლდათ... 1902 წელს გლეხებს და შემომხელთა შორის (იგულისხმეთ თავადა-ზნა ურობა) უთანხმოება ჩამოყარდა, რაც გამოიწვია იმ კარგიობამ, რომ შემომხელთა მიწებზე მუშაობის პირობები გლეხებმა მეტათ შემავიწროებლათ იცნეს და კიდევ ითხოვეს ძველი წესების შეტყობა და ცოტა შედგათაინა პირობები. შემომხელთა იმის ნაცვლათ, რომ გლეხებთან საქმე მორიგებით გაუთავებოთ და გლეხებთან მოლაპარაკება დაეწყოთ, სულ სხვა „ზომის“ მამართეს იმ გლეხთა წინააღმდეგ; რომელნიც მათვე მარჩენლი იყვნენ. ამას ის შედეგი მოუყა, რომ თავადა-ზნაურობის მიწები უანებათ ადარ დათესილდა. 1902 წელს საშინელი სიღარიბე ჩამოყარდა ხალხში და თითქმის სრული შიმშილობა, რაც გამოიწვია მან, რომ უანები ცოტა დაითეს და რაც დაითეს, იქნე ჭირანხელი ცოტა მოიღა.

ამსთან გადდდა ბუი არეის გამოხდაზე, რასაც აქ ძალიან მიდედენ და თავის დროზე კარგ შემოსავლად ადღევდა ხალხს. ხოლო ბუის მომარტების შემდეგ სრულად შექვდა არეის გამოხდა, რადგან ეს ბუი იმდენათ დიდია, რომ, მოსაკვების მავიერ, ზარალს ადღევს მწარმოებელს.. ათასნობრი გადსახდაბი, რომლებიც უოველ დღე მარტულობდა და ცხოვრების სხვადასხვა მოთხოვნილებები კარზე ადგა ხალხს და სულს უხუთავდა და არ იტოლენ ზასუხი რით გავნათ, როდესაც ქონებრივთ არაფერი გაჩნდა. გასმარდა ცარცავტევა, ამას წაშტა შეურის-ძიებით ბუზლობა, რამც ბევრი აღმინა იმსხვერზდა, ვისაც რამე პირადი ინტერესები ჰქონდა ვის-მესთან, ახლა გამოაბა კული და სამაციეროს გადახდას შეუდგა. და ისევეც დაბეზრებული ხალხი, უარესათ შექვხდა.

ამავე 1902 წელს დაკეტულ იქნა ეველი ბიბლიოთეკა-სამაციო-თხველოება, რომლებიც თითქმის ეველ სოფლებში იყო, იმიტომ რომ ვითომ „გურულები წივხის კითხვამ გადაარია“...

1903 წელს წინა წელთან შედარებით, უფრო მშვიდობიანი იყო ცარცვა-გლეჯის მხრივ, ხოლო ჭირანხელის მოუსალოება კვლავ განმარდა და ხალხი უსამინელეს უოფაში ჩავარდა, სომინდი რომ ადარ ქონდათ, უმეტესობა ხილით აყვებოდა, რამც ავთიყოფობა და სიკვდილი ერთი-ორათ გააძლიერა და შევლად აღრსით იყო... ამ წელს რამდენიმე შეველებობა მოხდა... ამ ტაქტირებით, როგორც იყო, ხალხს მოწვეუტობი წელი გადაათრია 1904 წელში.

ამ წელს, „წელ-წადებული ხაგის ეკადობადა“, ეველამ მუხბრეშუმეობას მიეო ხელი, მარა აქც ბუმა უმტკუნა: აბრეშუმის ზარკს ფასი მცირე დაურჩა. შეველებობა და ცარცვა-გლეჯა საშინლათ განმარდა, ისეთა დღე და დამე იშვიათი იყო, რომ ვინმე არ ტაქტრცვთ, შეველებობა მართლა ბევრი მოხდა, აქვე ჩამოყვლით მოკლულთა ვინაობას, თუმცა ეველ არ დაგვამსხვავდა: ს. გურანთის საზოგადოებაში მოკლეს—ახ. დ. ქარცავაქი, გლეხი თ. არაშოქი, მის. უოფინაიშვილი, მ. მოქაა, მახარაქი; სად. ნატრების ტაზზე—გ. მესხია; სად. ნივითში—ჩქელაშვილი; დანსხუთში—მამისხლდისი ირ. მენადარშილი; მ. არაკუნიძე; დ. ხდისთავში—სოფლის მწერალი მან. ლომიძე, ქართულიშვილი, მამასხლისი თავითქალაქი, კერ. ლომიძე; ს. ჟუმთში—მდ. გაბრიელ დარჩია, სურშიში—დეკანოზი ნიკო რამაშვილი; სად. სუფსაში—დეკა ურუშაძე, დ. ნოსტაურში—მ. კადახაძე; ოზურგეთში—ი. სარაშილი; ს. შემოქმედში—ახ. ად. ბებურაშვილი და ალექსი კირკელიძე და სხ.

თუმცა ამდენი ტაქტირება, სიდატაქე და დამცირება გამოარა ხდებდა, მარა მხნეობა მაინც არ დაჟვარგავს, სულათ არ დაცემულა და ეველ ვაი-ვაგლახს მავრათ დაუხვდა... ბოლოს მიხვდა, რომ თავისი უბედურების მიზეზი სულ სხვა იყო და არა ის, რაც დღემდე ეკონა... 1904 წ. უკანასკნელ თვეებიდან ზემოსხენებულ არა სსიაშოვნა ამბები თანდათან მცირდება და კლებულობს; ხალხი გათვითცნობიერდა, იცნა ვინ არის მისი მტერ-მოყვარე და შეუდგა ანგარიშის განსაწრობლათ მზადებას. დარწმუნდა, რომ ამდენა მარხულობის შემდეგ უსათუთ უნდა განსხლდეს. მხოლოთ ჟერ-ჟერობით მოთმინა საჭირო. შეიგნო, რომ სხვასთან ერთათ საჭირო ეველ ჩვეულებების, ცრუ-მარწმუნოებების და ხალხში განსტკივრებულ მაგნებელ წესების შეცვლა და განწესობა, რომ ახალ ცხოვრებას—განახალი და განწმენდილია“ შეხედეს. შეაგნო ისიც, რომ ამავანისთვის მხოლოთ მის უნდა ეცხრუნ და სოფელმა სოფელს გასძახა: „ძიებო, შეკრითეთ და უეუ ვადლოთ ეველ ჩვენთვის მავნებელი და უფარვისნი“! იმართება ურილობები, არის მსჯელობა სხვა და სხვა საჭირო სავსებზე, ადვენენ განაჩენებს, რომლის პირველი მუხლი ასეთათა: „მოისხოს ქერლობა და ავსაკობა“!. არდგენენ სიებს ეველ ქერლობაში და ავსაკობაში შემხნეულ პირთა, რომელსაც სსიოლოთ ურილობაზე კითხულობენ, რომ ეველამ კაციოს, ვინ არის მათთვის მავნე პირები. ხალხი

უფროსი: „გავასწოროთ ქურდები, დავსაჯოთ“. მიღანი ქურდისას, გამოყოფთ გარეთ, ანოქებენ და თქმუებენ „აღსარებას“. დანაშაულის წინადადებას აძლევენ, რომ შემდეგში აღარ ჩაიდინოს ცუდი რამ, თუ არ უნდა სისტიკო სსსკული მთავრად. ქურდები და ავტორიტეტი ხალხისაგან უფრო სულეაობა—თავმოყვარეობის შემოღებულ სსსკულით ისევ და ფეხიგურ სსსკულს მხოლოდ უგანსწავლათ მითარბებენ. მკაცრობით, ს. ღმერთში ერთ გლეხს ორმა უმაწვილმა კაცმა ძრახა მთავრად, ქურდები ხალხმა მთავრობა ცნობის ძეგლის შემდეგ და სსსკულით გადუწვიტა: მთავრად ძრახა ხალხი წელიწადს ეგვლისაზე უნდა მიუყვანათ. ასეც მოხდა: ერთ ქურდს მოაბეს წელიწადს თოკი და ძრახა წაუყვანინეს, მეორე კი მიერეკობდა და ამ უფოთი მივიდენ ეგვლისათან. გათავდა თუ არა წირვა გამოვიდა ხალხი ეგვლისიდან. გააკეთა დიდი წრე, გაჩნდა შუაში ქურდები და მოთხოვა ეამხნათ თუ როგორ ჩაიდინეს ქურდობა. ქურდებიც გამოტყდენ უგვლაფერში. ხალხმა ახატოვა დანაშაული, ხოლო უკეთუ განიშორებდნენ, იმ შემთხვევაში სსსკულით სსსკული ალუქვა. აი, ამხარია ხალხის მიერ გამოგონილი სსსკული და დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ სხვა სსსკულიებზე უკეთესი ნაყოფის მოიტანს და მოიტანს ვიდრე...

დანარჩენი მხულები ხალხის მიერ შემოღებულ წესების შეცვლა: — შეცვლილ უნდა იქმნას „მოდოლიანი ქორწილები“ და „წაბურვანი ტირილები“, რადგან ეს უგვლასთვის საზარალოა, და ბურგან შეიცვალა უკვე მოსაზიბილი უნდა იქმნას ძალ-ღატანებულო ღვინის სმა, ღოთობა, რადგან ამას ხშირად ჩხუბი და თავზირის მტრეკა მოყვება. — არავინ არ უნდა გაბედოს ერთი-მეორის ღანძღვა — გინება, დარტყმა და სხვა ამგვარი. — თუ რამე ხალხთან გასარიტებული საქმე აქვს ვისმეს, ხალხს უნდა მიანდოს მისი მოწყობა. აგრეთვე არ შეიძლება: მრუშობა, ჩანჩობა, ერთი მეორის მოტყუება რამე საქმეში, ერთი სიტყვით უგვლა ის, რაც კაცის უხსნობას შეეძგინს და საზოგადოებისთვის მავნებელი და მახარადუბელია.

შეიძლება ზევით ნათქვამი ვისმეს ცაზვიადებულად ეჩვენოს, ან ეტვი შეუპაროს ამავეის განხორციელებაში, მარა ის შემდარი იქნება, რადგან ხალხი, თუ მოინდომებს, უგვლაფერს შეიძლება და მოინდომას კიდევ და უგვლაფერს უკვე ნორმალურად მიიღინარეობს. უგვლა წრეული გულისთ შეუდგა ამ საქმის განხორციელებისთვის მუშაობას, მთელი კურია ამაზე ღანძრავობს, უნდა ხანათ სოფელი, რა ატანებოთ და მხარული სხით გაამბოთ ამის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ თუმცა ხალხი თავის საზოგადო საქმეშია გართული, მარა ამავე დროს დიდი ინტერესი აქვს სხვა ქვეყნის ამბებზე იცოდნენ. ძალიან ეტანებიან ცაზეთის კითხვას, ვინც კითხვას არ იცის, ის სხვას ეხვეწება წამოკითხეთ. შეიძლება ეს ომიანობისკან იყოს, მარა, წარმოადგინეთ, რომ ისეთ წერილებს უფრო ეტანება ხალხი, რომლებიც დღევანდელი ცხოვრების კითხვებს შეეხება და სხვა, ამის შესახებ სოფელენი ასე კითხულობენ: „რათგან საქმე არ ეთხოვან ჩხუფს“. ძალიან ეტანებიან „შეუის სასტავლ წიგნებსაც“.

ჩვენ მიერ მოთხრობილი ამბები შეეხება მხოლოდ სოფლებს, და ურთოდ არ იქნება ამ მხრივ ცოტა რამ გურიის „სტატო ქალაქის“, ოზურგეთის შესახებაც ვთქვათ. მაგრამ ვაი რომ კარგს გერათყურს ვიტყვით! ოზურგეთი მოწყობილი დარჩა უთავისაგან ამის და როცა „ქარიშხალი“ მოაბრ, ოზურგელებმა თავის თავი კუნძულივით დაიტოვეს და კვლავ განხორციელდნენ დანაშაულებს და კარჩაკეტილ ცხოვრებას; ოზურგელებმა ვერ გამოჩინეს იმდენი დანაშაულები, რომ ეხლანდელი ცხოვრების უგარვისათა შეეგონნ და ისინიც საერთო ფერხულში ჩამოხლევიან მის განსაკრებლათ. კერძოდ რომ ვთქვათ ოზურგეთის ქალაქის „მამუბი“ ჯარების ცდამოყვანას და „კახსნიესტოის“ ცდამოტანას ოზურგელებს და ამით უზიარებენ შეგლას ცდარბიებულ ქალაქს. რაც შეეხება ვაჭრებს, ისინი როცა სოფლების ქონებრივად ცდარბიებოთ ვაჭრობას მოაკლდათ,

გაძახიან: გვირა-უქმე დღეებში რომ მალაზიები იკეტება და სოფლებში სავაჭრო ღუნები არსებობს „იმან მოგვაცლო ვაჭრობა“ და ამისთვის წყურებენ! გერეთ წოდებული „ინტელიგენცია“ კლუბში ქეიფობს! სხვებზე კი ღანძრავი არ დარს. დახ, ოზურგეთლებმა ვერ მიხედნენ, რომ დრო ეკვლამ შეუდგეს ცხოვრების განსაკრებლათ ზრუნვას და ჩვენ თავს ჩვენზე მოურთო.

ამხარიათ, გურიაში სოფელმა უგვლანარათ გასწორო წინ ქალაქს (რა თქმა უნდა ჩვენ, აქ ოზურგეთი გვაქვს მხედველობაში): იგი დიდი ხნია შეუდგა საქმეს, ახალ გზას აადგა, იბრძვის და ცდილობს „დუხჭირი ცხოვრების“ განსწავლას...

3. მხარულად.

რუსეთის ძროხიპა

25 იანვარს ბეტერბურგში მოხდა ინჟენერთა კავშირის კრება. ამ კრებაზე წავითხულ იქნა 198 ინჟენერთა მიერ ხელმოწერილი განცხადება, რომელიც მათ მიხისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს გადასცეს. ამ განცხადების დედა აზრი ის არის, რომ იანვარში მომხდარმა ამბებმა შეუძლებლათ განადგინ მრეწველობის ზოგერთი დარგის ინჟინრების არსებობა. ამის მიზეზი არის უთანხმოება, რომელიც დამარდა მუშებს და მათ შორის იანვრის ამბებს შეიძლება.

ინჟინრებმა გამოთქვეს თავისი შეხედულობა მუშათა მოძრაობის განვითარებაზე და აუცილებლათ სცნეს ზოლიტიკური მოთხოვნების წარმოშობა. გარდა ამისა განცხადებაში მოხსენებულა რომ მუშათა მოძრაობა არა თუ მთავრობის თვალწინ განხარდა, არამედ თვით მთავრობის მიერ ეთა შექმნილი და შემდეგ კი იმავე მთავრობამ ასე უმოწყალოთ და სასტიკათ ჩაახშო იგი. ახლანდელი ზომები აღმინისტრაციისა მუშების დაწინარების შესახებ, მისი სურვილი მუშების ორგანიზაციის ხელმძღვანელობის კიდევ უფრო გამწვავების საქმეს და სომინელ ამბებს მოხადენს. შემდეგ განცხადებაში მოყვანილია საზოგადო სახითის ზომები, რომელთა საშუალებათ შეიძლება სახელმწიფოს მრეწველობის საქმის მოწყობილება. ეს განცხადება გადასცა ვიტრეს კავშირის მიერ არჩეულმა დეპუტატამ. ვიტრემ მიიღო განცხადება და თქვა, რომ მიხისტრთა კომიტეტი განახილავს იმ ნაწილს მოხსენებისას, რომელიც შეეხება მუშათა კითხვის ეკონომიურ მხარეს და შეიძლების და გვართ ეცდება, რომ განხორციელდეს მოხსენებაში შემოთავაზებული დებულებანიც.

როგორც ცხ. „ზრბაღტ. კრასი“ იუწყება, 10—15 იანვარს რაკში სომინელი არეულობა და სისხლის ღვრა მომხდარა. არეულობა დაწვებულა 10 იანვარს და მტრათ ცდამოკრებულა 12 იანვარს, როცა დაწვებულა მუშათა გაფიცვები. ამ დღეს გაფიცულ მუშათა ჯგუფმა დაიარა უგვლა ქარხნები და სახელოსნოები, სდაც იწვევდა ამხანაგებს, რომელნიც საამოყენებო ანებებდნენ თავს მუშაობას და უერთდებოდნენ გაფიცულთა გროვას. მალე გაფიცულთა რიცხვი ძალიან გაიზარდა. გაფიცულები შეერდენ ილეკების მოყვანს. აქ ერთმა მუშათაგანმა ამაღლებულა დივილიდან წამოიხს მთავრობის საწინამდებლო ზრკელამდია შესახებ ბეტერბურგში მომხდარ ამბებისა. აქედან ხალხი გაქანა ცემეტის ქარხნისაკენ, სდაც მუშებთან ერთად განდა ჯარის კაცების ორი როტა. დატყვევებულ იქნა 6 კაცი, რომელნიც სხვებზე უფრო ადელგუდნენ მუშებს. იმათ უზოვეს ზრკელამცილები, რკინის სხვა და სხვა სკნები, სცემრათ დამზადებული და მრავალი ქვები. ამავე დროს მუშათა გაფიცვა მთელ ქალაქს მთელ და გაფიცულთა ჯგუფებით გაავსო სხვა და სხვა ქუჩები. მუშებს არავითარი ძალმომრეობა და უწესობა არ მოუხდენიათ გარდა იმისა რომ დაღუქს „Baetiqa Webstpesis“ და „ზრბაღტ. კრასი“ რედაქციების ფანჯრები. დადამა თუ არა უგვლაფერი მიწერდა.

13 იანვარს დემინისტრატები შედიოდნენ იმ ქარხნებსა და სახელოსნოებში, სდაც მუშათა არ შეიწყვიტათ და მოყვლათ თა-

ვისთან მუშები. დემოსტრაციებში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ქალები და სტუდენტები. დასტურდა 121 კაცი. ბევრ ალკატას მანიფესტანტები გაფანტა ზოლივამ და ჯარმა. ნაშუადღვის 2 საათზე აურბეული ხალხი გაემართა შუა ქალაქისკენ და მუშაობა მიატოვედნენ ვეღა სტამბის მუშებს, რის გამოც აქური გაზე-
 თები რამოდენიმე დღის განმავლობაში აღარ გამოდიოდა. რიხის გზის ხიდან მანიფესტანტების გროვას გზა მოუჭრა ჯარის კაც-
 თა ნახევარმა როტამ. დემოსტრანტები იერიშით მივიდნენ ჯარის კაცებს, მოაგლოჟეს მკლავს ქუდი და რაღაც აარადი თავი გაუტყეს უნტერ-ოფიცერს. ხიდან ჯარის კაცებს ქვეს უშენ-
 დენ და რველვერებს ესროდნენ. ამავე დროს მოვიდა მეორე ნახე-
 ვარი ჯარისკაცთა როტისა, რომელმაც დახვდა ხალხს „გონილვასა“
 ქუჩაზე. ხალხმა სრულად დაუწყო ჯარის კაცებს. მეორე ნახევარი
 როტის უფროსმა დაინახა, რომ ჰირველ ნახევარ როტის ჯარს
 შემოხვედა ხალხი და უბრძანა ჯარის კაცებს ესროლათ დემონ-
 სტრანტებისათვის. ხალხი მალე გაიფანტა. მოედანზე დარჩა 23
 მოკლული, მათ შორის 2 ქალი და 60 დაჭრილი. ზრისტავის
 თანამეწე ბილეგი სასიკვდილოთ დაიჭრა და მალე მოკვდა კიდევ
 ქალაქის საავითოლოთაში. ჯარის კაცთაგან დაიჭრა 8, რომელთაგან
 1 მოკვდა. საავითოლოთში გარდაიცვალა 12 დემოსტრანტი. წითლე-
 ლი ჯარის გონილვას 7 დაჭრილი სტუდენტი მიიყვანეს, 3
 ამთავის გარდაიცვალა. კერძო საავითოლოთში მიიყვანეს ზოლიტე-
 ხნიკური ინსტიტუტის სტუდენტი კანსტ. ნიკ. ზენურკინი, რომელ-
 საც თავში მოხვედროდა ტყვიამ. რამოდენიმე საათის შემდეგ ზენურ-
 კინი გარდაიცვალა. მოკლულია აგრეთვე გამსესებელ შემსახველ
 სლაროს გამგებობის თავმჯდომარე ელ. ნიკ. ნემინოვი, რომელ-
 საც რამოდენიმე ტყვიამ მოხვედროდა. 13 ანგარს ურინცკის ხალ-
 ხმა თავი შეიკრა აღსაბედიის ქუჩაზე, და სრულად დაუხვდა ჯარ-
 რის კაცებს, მაგრამ ვინაშთ ვერაფერი ანობ. იმავე დღეს ალექსან-
 დროვის ქუჩაზე შეკრიბნენ სტუდენტები და ქალები, რომელნიც
 ევიროდნენ: „ძირს ომი“. საღამოს სტუდენტებმა მოთხოვეს თე-
 ტრების დარქვების ქალაქში მომხდარ სამეზხარა ამბების გამო
 წარმოდგენები შეწყვიტათ. წარმოდგენები შეწყვიტეს. 14 ანგარ-
 დი ელექტრონის ტრამვას მოძრაობა შეწყდა. ბევრი ვაგონები
 დაშტურეს. სასწავლებლებში 18 ანგარმედი მაცადინებობა შეაჩერეს.

14 ანგარს, დილით კოვნილან მოვიდა ასი უახან-რუსი.
 ზოლიტეხნიკური ინსტიტუტში სტუდენტებმა კრება მოახდინეს.
 ერთ-ერთ ფანჯარაში გამოვიდნენ შვიი სამკლავობარ ბაიარლი შემ-
 დების წარწერით: „დიდება ბრძოლაში მოკლულთ; წიქვა და კრულ-
 ვა მკვლელებს!“ ინსტიტუტის წინ მრავალი ხალხი იდგა, მაგრამ
 სიწინარე არ დაურღვევიათ. კრების გათავების შემდეგ ზოლიტეხნი-
 კური ინსტიტუტი დაახურა სამისწავლო ოქჯის მხრეხვედლის
 განკარგულებით.

15 ანგარს გუბერნატორის ნებართვით დამარხეს მოკლული
 სტუდენტი ზენურკინი. კუბო მიქონდათ სტუდენტებს და მუშებს;
 რამოდენიმე თასი ხალხი მიეობოდა მიცვალბუღულს. წინ მიქონდათ
 გვირგვინები ამხანაგებისაკენ, მუშებისაკენ და კერძო პირთაგან.
 გვირგვინებზე წითელი და სხვა ფერების ლენტები იყო. ამ ლენ-
 ტებზე შემდეგი წარწერები იყო: „თავისუფლებებისთვის ბრძოლაში
 მოკლულ ამხანაგს“, „ადვირ წახსნილი თვითნებობის მსხვერპლს“,
 „სიკვდილი, წიქვა-კრულვა და შურის ძაბა ჯალათებს!“ აქ-აქ არ-
 გებდნენ რის ფერ ქალაქზე დაბეჭდილ პროკლამაციებს, რომლი-
 თაც იწვევდნენ ხალხს ქუჩაზე გამოსასვლელათ. გარდა ამის ქალები
 იღებდნენ პროკლამაციებს თავის ხელ-სათბუბებიდან და გამკლავებს
 ურიკებდნენ. როცა მიცვალბუღული დამარხეს ვიღაც უნებობა კაცმა
 წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „საკონია აუფს ხსენება თავისუ-
 ფლებებისთვის ბრძოლაში მოკლულით“. ამას შემდეგ წავითხუდიქან
 ლენტების წარწერები რუსულს, ლატიშურს და გერმანულ ენებზე.
 უკან დაბრუნებისას დაიწვეს „დუბინუშის“ მღერა, არიკებდნენ პრო-
 კლამაციებს, აჩერებდნენ შეტრეკებს და აქრობდნენ ფარნებს. დემონ-

სტრანტები მალე გაფანტა უახან რუსებმა და ჯარმა. 16 ანგარს
 სიწინარე არსად დაურღვევიათ.

➤ შუტილოვის ქარხნის მუშები ჯერაც არ დაწყნარებულან. მართა-
 ლას მუშაობა დაიწვეს მაგრამ ისევ შეწყვიტეს. 3 თებერვალს, დი-
 ლის 7 საათზე, მუშები შეიკრიბნენ სახელმწიფოში, მაგრამ 10
 —15 წამის შემდეგ, ეგვლა წავიდნენ. სასალოვეს არც ერთი მუ-
 შა არ დაბრუნებულა. ხარის კარებიდან და შუტილოვის ქარხნის
 აქით მუშები ჯგუფ-ჯგუფათ იკრიბებოდნენ და ეველგან იმაზე
 ღელანაკობდნენ, ვინ ან როგორ ამოეჩინათ დემუტატებთ მთავრო-
 ბისაკან დანიშნულ საცანგებო კომისიაში. ქარხნის ადმინისტრაციას
 უნდა, რომ დემუტატების არჩენები თვით ქარხანაში მოხდეს; მაგ-
 რამ მუშები არ არიან თანხმ. მუშებს მიუშარათათ თხოვითი ჰე-
 ტერგოვის ზოლიციის სამმართველოსათვის—მოკვდილი ნება შევი-
 კრბობთ უხლოეს მოედანზე და მოვილანაკობთ ჩვენ დემუტატების
 არჩევანზე; თანხმა ვართ, ჯარი და ზოლიცა შემთარტუათ იმ ად-
 ცილს, სადაც შეკრებილი ვიქნებით. ზოლიციამ ვერ მისცა ნება.
 მიმართეს გრადონახნიციკ ზასუხი მისიკეს („რ. ველ.“).

➤ სენატორ შიდლავსკის კომისია მთავრობისაკან არის დანიშ-
 ნული მუშების საქმის გამოსაძებლათ და გამოსარკვევათ. კომისიაში
 უნდა იქნენ, სხვათა შორის, მუშების წარმომადგენლებიც. ამის
 გამო შიდლავსკისთან მისულებს მუშების წარმომადგენლებიც და
 უთხოვიათ—ნუა მოკვდილი ჩვენი წარმომადგენლობა კომისიაში
 მივანდათ განათლებულ, თავისუფალ პროფესორს ხალხსა (ინტელი-
 გენტებს); ესენი კარგათ იცნობენ მუშების საქმეს და მათ ეხლან-
 დელ მდგომარეობას; ამასთან უკეთ და შეტის სიციხლით შეუძლი-
 ნათ დაუხატონ კომისიას მუშების საჭიროებანი, და კამათობაც შეტ
 წესიერებას შეიტანებო. შიდლავსკიმ უარი უთხრა მუშებს ამ თხო-
 ვანზე: გადაწყვეტილია, ზირდაზირ მუშებთან ჰქედნეს საქმე კომისია-
 სო. მუშები შეიკრიბებთან სფობრეო ინსპექტორის ზედამხედვე-
 ლობით და ჯერ ამომჩინებულს ამომჩინებენ; შერე-კი ეს ამომჩინებ-
 ლები თავიანთ წრიდან არჩევენ დემუტატებს კომისიისათვის („რუს“).

=====

უცხოეთის ქრონიკა

საფრანგეთი.

გაზეთი „ნაშა უიზნის“ 28 ანგარს ნომერ-
 ში მოთავსებულა საინტერესო ცნობა საფრანგეთიდან შემდეგი
 სათარათი: „ავიტაციის შ. გორკის სასარგებლოთ“. როგორც ჩანს,
 შ. გორკის დატუსაღებას და საერთოთ რუსეთში მომხდარ ამბებს
 ძალიან აუდღვევიათ საფრანგეთის საუკეთესო ნაწილი. საქმე აქამ-
 დისაც მისულა, რომ ეს მღელვარება რუსეთის და საფრანგეთის
 ორთა შუა კავშირის საწინააღმდეგო მოძრაობათ გადაქცეულა. ამ
 მოძრაობის სათავეში ჩამდგარს ისეთი გამომჩინილი და პეტრუსაცე-
 ში პირნი, როგორიც მაკალიათათ არიან ანტოლ ფრანსი, ზენლევე,
 პროფ. ლუი დანიკა, დემუტატო რუსე, ევენ ფურნიერი და სხვ.
 მოძრაობა სტაქურა ძალით მოსდებია საფრანგეთს და მიატებეს
 მიტინგებზე იწვევს. ამ მიტინგებზე წარმოითქმას ამაფრთხიანებუ-
 ლი სიტყვები რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. საუკეთესო ზოლი-
 ტაკური მოღვაწეები გამოდიან თურმე ორატორებათ და მუხრს აფ-
 ლებენ რუსეთის ახლანდელ წესწიბობებს, მიტინგებს ათავებენ
 უფროლით: („ძირს ასოლოფიტისმი! კუმარჯოს რუსის ხალხსო“).
 ერთ ერთ ამასთანა მიტინგზე შეგინერი სიტყვა წარმოთქვა მიტინ-
 გის თავმჯდომარემ ანტოლ ფრანსმა. ორატორს არ წამს ის ებუღება,
 რომლის ძალით საფრანგეთს ვითომდაც ნება არა აქვს კარგე სხ-
 ხელმწიფოს შანჯან საქმეებში გაერიოს და აი რა მოსახრებთ:

„რუსეთის ასოლოფიტისმი რაქციას და ეს რაქცია მოედო
 თიელ ევროპას. რუსეთის ასოლოფიტისმი მსოფლიო კაპიტალიზ-
 მის ცენტრია, ის არის უკანასკნელი იმედი გერმანიის და საფრან-
 გეთის ელერიკალური ბურჟუაზიისა. განა ჩვენთან კი არ შემობნ-
 რა ეს ასოლოფიტისმი, საფრანგეთის და რუსეთის კავშირის დრო-
 შით დაფარული?

ეს კიდევ არ კმარა! თვით ეს კავშირი ნათლათ არ გვაჩვენებს, რომ მისი სახით ჩვენში ბიურაქრატული აბსოლუტიზმი შემოიჭრა? ავთოფორთ იმ მონარქისტებს, კლერკალებს და ნაციონალისტებს, რომლებიც ბასს უკაფუდენ ჩვენში ამ კავშირს; შევნიშნათ ეს მოდლო, რომ ამით ისინი საფრანგეთში კონტრ-რევოლუციის ახდენდნენ. ამ კავშირის უახლოესი შედეგი გამოისატა ამაში, რომ ჩვენ წვრილ ბურჟუაზიის მიერ შემოიხანულო ფუფუნებით რუსეთის შთაგრძობამ ჟიბუ გასიქვლა. სწორეთ ამ ფუფუნებით იყო, რომ რუსეთმა წამოიწყო მანჟურიაში ისეთი უსამართლო და გეჟერია ომი, რომელსაც ბადალი არ უღლია ისტორიაში. კავშირი—სესხას; აი ჭეშმარიტებას!

ორთა შუა კავშირის საწინამდებლო მოძრაობამ „ნ. უ.“-ის სახლვარ კარეთელ მიმომხილველის აზრით, ძირანათ შეარქია რუსეთის და საფრანგეთის კეთილ განწყობილება.

ნ ა წ ე ვ ე ტ ი.

ღღის მნათობმა განთიადზე
ნავი დაძრა, ააცურა,
ხომლის შესვინა, გადალოკა,
მღელოს ნამი დაწურა...

ჩაგრულთ ღროშა სულ წინ მოაქეთ
შესახვედრათ განთიადის,
მებრძოლთ გგრეინვა, გმირთა მძლე ხმა—
ჰაერსა ძრავს, ცამდე აღის...

ხალხის ტანჯვა-კვნესის ცეცხლსა
ჩამოშორდა ნაპერწკალი,—
აღათ იქცა და მტარვალთ გუნდს
შემოავლო ირგვლივ რაკლი...

ილიანი.

საპირველი ავგავი.

ნათელსა და განიერ ოთახში, რომლის იატაკი და კედლები ძვირფასი ხალიჩებით იყო მოფენილი, დიდს მრგვალ სტოლთან რბილს სკამზე, ასე შვა ხნის ქალბარა შერეული კაცი იჯდა და რაღასაც კითხულობდა. სტოლზე იდგა ბრტყელი საწერელი წითელი მელნით, საშრობი ქაღალდი, ფერადი კარანდაში, რამოდენიმე შავი ყლიანი წიგნი, მრგვლათ დახვეული რაღაცა ქაღალდი და ნახევარი სტაქანი ჩაი. კედლებზე აქა იქ სურათები ეყიდა, ხოლო შვა ქერიდან სტოლის პირდაპირ, მშვენიერი ღამა იყო ჩამოშვებული.

სამარისებურ სიჩუმეს მხოლოთ ქუჩაზე მოზრბინე ეტლების ხმა არღვევდა. ხანდისხან კი მეორე ოთახიდან, მოთამაშე ბავშვების წკრიალა სიცილის ხმა შემოიჭრებოდა ხოლმე და უნებლიეთ იპყრობოდა სტოლთან მჯდომარე კაცის ყურადღებას. ის აიღებდა თავს, მიაყურადებდა ბავშვების ხმას, შემდეგ მონთქავდა ჩაის, კმაყოფილებით ჩაიცილებდა და ისევ თავის საქმეს უბრუნდებოდა.

მან გაათავა კითხვა. გაშლილი ქაღალდი ოთხთათ მოკეცა, ზედ წითელი კარანდაშით რაღაცა დაწერა და იქვე დადო. შემდეგ აიღო მრგვლათ დახვეული ქაღალდი, რომელსაც ზევიდან ეწერა: „გაზეთი ეკალი.“, გაშალა და კითხვას შეუდგა.

— აჰაა, ეს ლევანის საკვირაო ფელეტონია! ვნახოთ, ვნახოთ!

„ძვირფასო მკითხველო!“ წერდა ფელეტონის ავტორი. „სულითა და გულით მწადია გაგიზიარო ყოველივე ჩემი გულის თქმა, ჩემი აზრი და ფიქრები, ჩემი სიხარული და მწუ-

ხარება. მინდა ავიწერო ის სახარელი ამბავი, რომელიც გუშინწინ ჩვენი ქალაქის ქუჩებში დატრიალდა. ოჰ, შესაძლებელი რომ იყოს, თვით იმ უმანკო სისხლით, რომელიც ასე უხვათ შეიშრო ჩვენმა ქუჩებმა, დავხატავდი იმ სახარელ სურათს. მაგრამ ეს შეუძლებელია; შეუძლებელია, იმიტომ რომ ჩვენს წინაშე ამართული კედელი, ხელს გვიშლის დაგანახო ნამდვილი სახე იმისი, რაც საკუთარი თვალითა ვნახე. მაგრამ მე მიიცი ვცდი და ვნახოთ რა გამოვა; ცდა ხომ ბედის მონახვერია.

„ერთი ტალღა იმ საერთო ქარიშხლისა, რომელიც ჩვენს სამშობლო ქვეყანაში ამდგარა და რომელიც განადგურებას უქადის ყოველივეს ძველს, ძირ გამოშალსა და უვარგისს, ღიახ ერთი ტალღა ამ საერთო ქარიშხლისა ჩვენს ქალაქშიაც შემოიჭრა.“

სტოლთან მჯდომი კაცი შედგა ხელში, კალამი აიღო და მკირეოდენი ფიქრის შემდეგ, წაკითხულს ისევ თავიდან დაუბრუნდა.

— აჰა, აი ეს სიტყვა „საზარელი“. განა შეიძლება ამ ადგილას ამ სიტყვის ხმარა? განა შეიძლება პოლიციის მოქმედებას „საზარელი“ ეწოდოს? მართალია, უიარაღო ხალხს დაეროენენ, ბევრი დაბოცეს, მეტი დასჭრეს და ამაზე კიდევ მეტს ძველები დაურბილეს ცემით, მაგრამ ასეთი მოქმედება მიიცი არ შეიძლება „საზარელათ“ ჩაითვალოს. არ შეიძლება იმიტომ, რომ ეს მთავრობის განკარგულებითა ხდება. მაშ აი ასე...

სტოლთან მჯდომმა ამოიღო ნიშანში სიტყვა „საზარელი“ და ზედ განიერი წითელი კვალი გავლო, რაიცა იმას ნიშნავდა, რომ ეს სიტყვა სხვა რომელიმე უფრო ღამაში სიტყვით უნდა შეიცვალოსო. შემდეგ სტოლთან მჯდომი ჩაყვა წერილს და კვლავ შეჩერდა იმ ალაგას, სადაც ეწერა: „საერთო ქარიშხალი“. ის ღრმით ჩაუფიქრდი ამ სიტყვების აზრს და სახე მოვლუშა.

— არა, არ შეიძლება, ეს მეტის მეტია, ჩაილაპარაკა მან. აქ ცხადია ჩანს, რომ ამ „საერთო ქარიშხლის“ სახელით ავტორს სიტყვა „რევოლუციის“ გამოხატვა უნდა. ღიახ მესმის, მესმის... როგორ ქერქშიაც უნდა გაახვიოთ, მე მიიცი მიუხედები სიტყვის ნამდვილ აზრს და მწიშვნელობას. ვიცი რომელ „საერთო ქარიშხალზედაც“ უნდა მიუთითონ მკითხველს საზოგადოებას. მაგრამ ეს შეუძლებელია, მე მოვალე ვარ ასეთ ორ აზროვნებისგან განვთავისუფლო წერილი, რომ მკითხველის თავში რაიმე ეჭვი არ დაიბადოს. ჩემს კალამს ვერავითარი სიტყვიერი კოტრახანდა ვერ გავებარებ. დარწმუნებულ ვარ, რომ ზოგჯერ ისეთ ალგორიას ვიქერ, რომლის აზრს თვით უგანათლებულესი მკითხველიც ვერ გაიგებს. რას იზამ, ასეთია მოვალეობა. ან სამსახურს უნდა დაანებო თავი, ან უნდა პირნათლათ შესარულო მონდობილება; ჩემი მონდობილობა კი ეს არის. მართლაც და მაშ რა მოხელე უნდა ვიყო, თუ ბეძღვითი სიტყვა ფარულის სახით, ე. ი. ალგორიებით მთავრობისათვის სახიფათო აზრებს გაავრცელებს?! მაშ აი...

სტოლთან მჯდომმა კვლავ ამოავლო კალამი მელანში და „საერთო ქარიშხალს“ წითელი ზოლი გადაატარა.

— განა მე კი მიხარია მეგობრის მომდღურება, მაგრამ სამსახური მიბრძანებს და უნდა ავასრულო.

ის ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და ბოლოს ფანჯარას მიადგა. ქუჩაში რკინის თავებიან ჯოხებით აღქურვილი ჩაგლეჯილი მეუზოგები იროდენ; გოროდგები და მათი უფროსებიც რაღაცა არა ჩვეულებრივ ფაცი-ფუცში იყვენ-ხალხიც უფრო აღმღებულსა გავდა. მაგრამ რაღვანაც ეს ჩვეულებრივი მოვლენა არის ღღევანდელი ქალაქის ცხოვრე-

ბისა, იმანაც მალე მოაშორა ქუჩას თვალი და ისევ თავის საქმეს დაუბრუნდა. აიღო თუ არა კალამი ზიზღის გამოძახებული ღიმილის კვალი სწრაფათ გაუქრა სახიდან.

— აბა ვნახოთ ქვევით, რასა წერს ჩვენი ლეენი—ჩაილაპარაკა მან და განაგრძო.

„აქაურმა მუშებმაც შეფიცეს ერთმანეთს, თავი დაანებონ მუშაობას, სანამ მათ აუტანელი მდგომარეობას მათი უმოწყალოთ კარცვასა და ყვლეფას ბოლო არ მოეღება“. სტოლთან მჯდომი კვლავ შედგა. სახეზე ისევ დაეტყო უსიამოვნების ნიშანი.

— კიდევ!.. სწორეთ აღორ ვიცი რა გზას დავადგე როგორ შეიძლება ასე წერა. „ცარცვა-გლეჯა“, „ყვლეფა“ და სხვ. უნდა შეიცვალოს, უთუოთ უნდა შეიცვალოს, წარმოთქვა მან და გადაუსვა თავისი კალამი აღნიშნულ სიტყვებს.

— ვნახოთ შემდეგ...

„მართლაც რომ აუტანელია მუშის მდგომარეობა! ვისაც არ გამოუტყდა ის ტანჯვა-წვალება, ი' სიმშობლივით, ის უსამართლო ქცევა თავისი მკარცველებისაგან, რომლებსაც მუშა ითმენს, იმისთვის რასაკვირველია ძნელი წარმოსადგენია ის თავგამოდებული ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლათ, რომელსაც მუშა ხალხი ეწევა“.

— მაკვირვებს, სწორეთ მაკვირვებს ამ კაცის საქციელი, ჩაილაპარაკა სტოლთან მჯდომმა. ვის გაუგონია მისგან ასეთი სიტყვები. რა გაეწყობა, უნდა მოვიმდურო, უთუოთ უნდა მოვიმდურო. უნდა წაიშალოს სიტყვა „ბრძოლა“, სიტყვა „თავისუფლება“, მათი გაშვება ყოვლად შეუძლებელია... რა ვქნა სამსახური მეგობრობაზე მალა დგას

მან მოიპარჯვა კალამი, რომ ამოეშალა ეს ორი სიტყვა, მაგრამ ქუჩიდან საზარელი ყვირილი შემოესმა. უცებ წამოხტა და ფანჯარას მივარდა. ქუჩაში ხალხი ზღვასავით ლელავდა და ირეოდა. დვორნიკების ჯოხების ტრიალს, ქვების ზუზუნს და ხმლების წკრიალს უცებ თოფების გრიალიც მოჰყვა. მე შევებტი და თვალები გამოვახილე. თურმე ყველაფერი სიზმარი იყო.

ეშმაკი.

ღამნაშავე

მთ. ჩიანისა.

(ციმბირში გადასახლებულთა ცხოვებიდან).

შორს, ძლიერ შორს, მიყრებულსა და თოვლს ქვეშ დამარხულ ციმბირში, ძვეს ქალაქი ტუჟკალინსკი. ვიწრო ქუჩები და წაფერდებული ხის სახლები სამგლოვიარო ელფერს ღებენ მას. იმის მკვდრულ სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ მშვიერი ძაღლის სევდიანი ყმული და მთვრალი ქმრისაგან გაღახული ცოლის ყვირილი თუ დარღვევს ხოლმე ხანდისხან; შემდეგ კი იგივე სიჩუმე და მყუდროება.

სალამოს ცხრა საათი იქნებოდა. ტუჟკალინსკის ბედნიერი მცხოვრებნი მოსვენებას აპირებდნენ; ქუჩის სადარაჯოთ გამოსული ყარაული ზანტათ დაბიჯებდა და თანაც მაღიანათ ამოქნარებდა. ამ დროს ერთ ქოხის კარებთან, რომელშიაც „ადმინისტრაციული წესით“ გადმოსახლებული სტუდენტი ზედიკი დოლოგინი ცხოვრობდა, პოლიციის დარაჯი გაჩერდა და კარებზე დააკაკუნა. ქოხის კარები გაიღო და დოლოგინის მუღღღე გამოვიდა, რომელსაც დარაჯმა უწყება გადასცა ქმრის სახელობაზე, რომლითაც სტუდენტი დოლოგინის პოლიციაში იბარებდნენ მეორე დილისათვის.

— თქვენ წაიკითხეთ 1882 წლის 12 მარტის წესდება? შეგკითხა ისპრავნიკი სტუდენტს, როდესაც ის პოლიციის სამმართველოში გამოცხადდა. ხომ მიღებული გაქვთ?

— დიხ მიღებულიცა მაქვს და წაიკითხულიც.

— მაშე როგორ არის, ჩემო კარგო, მე ვტყობილობ, რომ თქვენ ავითმყოფებს იღებთ. შეიძლება ეს ტყუილია?

— სრული ქეშმარიტება გახლავთ.

— აჰა, მაშე ჩვენი ფრთები უნდა შევაკვეცოთ თქვენ თვითნებობას. უკაცრავით თუ არ ვიქნებით გიცხადებთ, რომ ავითმყოფობების მიღება თქვენ აკრძალული გაქვთ.

— კარგი მაგრამ რას მიბრძანებთ,— ასეთ შემთხვევაში: მოდიან ჩემთან ტიფთ ავითმყოფი გლეხები; როგორც ექიმს მე უფლება არა მაქვს ისინი სახლიდან გამოვავადო და როგორც კაცი, მოვალე ვარ გაქირებულს დაეხმარო.

— ეჰე! თქვენ გავიწყლებათ, რომ ასეთი თვითნებობისათვის გამოგისტუმრეს ამ ცივ ქვეყანაში. არ იფიქროთ ვითომ აქ პეტერბურგი იყოს. და თუ ახირდებით საპრობილევ ახლოს არის.

— მაშე, თქვენი აზრით, ავითმყოფი დახმარების ნაცვლათ სახლიდან უნდა გავაძვევო?

— ეჰ, ამეებს მე უნდა გასწავლიდეთ? ჩვენი ლაპარაკი გათავებულია, მაგრამ ეს კი გახსოვდეთ, რომ ტყვილა უბრალოთ მუქარას მიჩვეული არა ვარ.

ძალა უნებურათ უნდა დამორჩილებდა სტუდენტი დოლოგინი პოლიციელის ბრძანებას და ავითმყოფები მიეტოვებია.

ან კი რა უნდა ექნა. „ადმინისტრაციული წესით“ გადმოსახლებულთ აკრძალული აქვთ თითქმის ყოველგვარი ხელობა სარჩოს მოსაპოვებლათ და ვალდებულნი არიან მთელი დრო უსაქმობაში ატარონ, მაგრამ ცხოვრება, ქამა-სამა ხომ საქირო არის და აი გუბერნატორის სახელზე იგზავნება თხოვნა:

— მომეცით ნება რაიმე ხელობას დავადგე და შიმშილით სიკვდილი ავაცილო თავიდან ჩემ ოჯახს, ჩემ წვრილ შვილებს. მიიღეთ მოწყალება ღვთის გულისათვის და მომეცით ნება ვიწრომო ოჯახის დასაპურებლათაო.

პასუხი ხშირათ ყოველსავე მოლოდინს სჭარბობდა თვისი სიმკაცრითა და სისასტიკით. სტუდენტმა დოლოგინმა ზევრი გაქირებვა გამოცადა, ბევრი-ვაი-ვაგლახი გადაიტანა ასეთი მორჩილებისათვის. ხშირათ ძლიერ ხშირათ, იმისი მოთმინება წყევბოდა და იძულებული იყო მთავრობის ბრძანება დაერღვია. მოდის საბრალო დედა, მკლავზე ავითმყოფი შვილი უწყევს, ფეხებში უფარდება და თხოვს:

— მიშველე, ღვთის გულისათვის მიშველე! რას იზამ აქ, როგორ გაუძლებს ამგვარ თხოვნას აღმინის გული, თუ კუ გულის ნაცვლათ ქვა არ უძვეს კაცს. უნდა მართალი ვთქვათ, რომ სტუდენტი დოლოგინი ყოვლის უწინ იყო კაცი, რომელიც ისე იქცევა, როგორც მას ადამიანური გრძნობა ჩასწურჩულებს და არა ისე, როგორც პოლიციის მოხელე უბრძანებს.

ზოგიერთი სულ მდებალი კაცუნები ამგვარ შემთხვევაში სრულიად ემორჩილებიან, კარგვენ ყოველივე კაცურ ღირსებას და მხეცდებიან. იმათში ქრება ადამიანი, რჩება მხოლოდ სახე.

დოლოგინი შველოდა გაქირებულთ და ჩქარა დარწმუნდა, რომ კეთილი საქმისათვის ამ ქვეყანათ ყოველთვის აჯილდოებენ ადამიანს, მაგრამ აჯილდოებენ ძლიერ ხშირათ არა ისე, როგორც დაუმსახურებიათ.

ტუჟკალინსკში აი რა მოხდა. ქალაქის თავის შვილი რეველოვერს სინჯავდა, უცებ გაუფარდა და ტყვია იქვე მჯდომ დედა-მისს მოხვდა ფეხში. რადგანაც ტყვია მთავარ ძარღვს მოხვედროდა, ამიტომ ქრილობა საშიში გამოდგა. საჩქაროთ მოიყვანეს ადგილობრივი ექიმი, რომელმაც შეუხვია ქრილობა და სისხლის დენა შეწყვიტა, მაგრამ ტყვიის ამოღება

მარტო არჩეულ ექიმს სიმონ ლორთქიანიძეს, რომელიც ხსენებული ბანკის ძველი ცოდების მსხვერპლი შეიქნა. სრული განკურნება უსურვეს აგრეთვე ამხანაგს მ. ძნელაძეს, რომელიც დღეს ლოგინათ არის ჩავარდნილი. ექიმ ქორქაშვილის წინადადებით სათანადოძნობა წერილი გაუგზავნეს აგრეთვე ამ საზოგადოების წევრს ექიმ ნიკ. ქიქინაძეს, რომელიც სამი თვის წინათ მისდუნებურათ მოაშორეს ქუთაისს. ექიმ ნასარიძემ კი ესეც არ იკმარა და ურჩია საზოგადოებას, რომ დროის შეუფერებელი და ურიგო არ იქნება შეამდგომლობა აღძრათ მისი დაბრუნების შესახებო, რაც მეტათ ჩამოართვეს უხუცესმა ამხანაგებმა.

25-ის კრებაზე ექიმ ნახაროვა გაახსენა წევრებს, რომ ერობის შესახებ მათ შეამდგომლობას, რომელიც კავკასიის ექიმთა მეორე თავყრილობაზე იყო წარდგენილი, არავითარი შედეგი არ მაყოლია; აგერ მეოთხე წელიწადია მის შესახებ არა ვიცით; ამიტომ ხელახალი მოხსენება გავგზავნათ, სადაც აჯობებს, რომ გავიგოთ მინც რა ბედი ეწვია იმასო. ზოგი თფილისის სამკურნალო საზოგადოების ან ძველი მისი ბიუროს საშუალებით არჩევდა ამ შეამდგომლობის ბედის გავებას, ზოგი მთავარმართებლის კანცელარიაზე უთითებდა, ხოლო ექიმი ქორქაშვილი, ადგილობრივი ბიუროკრატიაზე გულგატეხილი, პეტერბურგისაკენ მიიწვედა და იქ მინისტრთა კომიტეტშია ხსნაო, ურჩევდა ამხანაგებს. დღეს ეს კომიტეტი მთელი რუსეთის საქირ-ბოროტო საკითხებს არკვევს და ჩვენში ერობის საქიროების საკითხიც იმათ გავაგებინათ პირდაპირ და ეს უფრო უახლოესი გზა იქნება ჩვენი მიზნის მისაღწევათო. დღეს, დაუმატა მან, ყველამ კარგათ იცის როგორ არ თანაუგრძობდნენ ამ საკითხს ადგილობრივი მართვა-გამგეობის უცხო წარმომადგენელნი ზმთში უპირველესათ მთავარმართ. ყოფილი გოლიცინი. ამისათვის ნურც გიკვიროთ, თუ ჩვენში ერობის შემოღების და სხვა საკითხები აქაურ კანცელარიაებს არ გასილტვებია, გზის სინათლე არ დაუნახავსო. მ-ნი ქორქაშვილის სიტყვამ გამოიწვია დიდი აყვამაყალი წევრებში და ერთმა იმათგანმა წამოიძახა: „ამაგებზე ლაპარაკის ნება ჩვენ არც კი გვაქვს“.

ჯერ-ჯერობით ყველა ამ აურ-ზაურს ის მოყვა შედეგათ, რომ ექიმი ქორქაშვილი დროებით თემინხაშურაში გადაიყვანეს.

იანვარში მომხდარს ამებმა ქუთაისსაც სულ სხვა ელფერი დასდო. ორი კვირის შეიარაღებულ დარაჯებისა და კაზაკების შიშინაობამ ჩაიარა; ცხოვრება კალაპოტში ჩადგა, მცხოვრებლებიც მშვიდობიან მოქმედებას შეუდგნენ და ყველა შეჩერებულ, დაბრკოლებულ საქმეების გამოგვარებაშია. დღეს ყველა გრძობს წახედურობით მინც, რომ ხალხის გულის ტკივილებს წამლობა უნდა და ეს თუ ისე ყველა ზომებს იღებს მის საექიმოთ, რა საკვირველია, ეს „ზომები“, როგორც ახალი ხილი, ჯერ კიდევ ფართო ნიადაგნი არ არიან და ფრთხილი დასაწყისი აქვთ, მარა აქაურ მოღუნებულ ცხოვრებაში ქუთათურებს ესეც გვაკვირებს და სიამოვნებას გვგვრის...

ამ მხრით პირველი ნაბიჯი „ლათინურ სამხარეულოს“ ცხოვრებიდან გაისმა, თუმცა დროის ანუ მათებურით „ფეხის ამყოლება“ ბევრ დიპლომაინებს ძალიანაც არ მოსწონდათ და ფარმაცევტებთა დღევანდელ საქციელს „ავათყოფებთან ბრძოლა“ დაარქვეს, მარა დაკვირვებით საქმის ვითარების გაცნობის და მოლაპარაკების შემდეგ აი რა მოთხოვნილებები დაუპყაროფილეს მათ. 1. შემოღებული იქმნას დღეში ორი „სმენა“. 2. შედ-შეიდი საათის დღიური მუშაობა შეცვლა, 3. ფარმაცევტებს ბინისა და სასმელ-საქმლის ფასი ხელწე 30 მან დღემდამ შეფთვითაქრებთან ხარჯობდნენ და მათსავე ოთახში იდგნენ მოსამსახურე ფარმაცევტებში). 3. აფთიაქის შეგირდებს

მიეცეს პირველ წელიწადს თვეში 10 მ, მეორეს—15 მ. და მესამეს—25 მ. 4. პრავიზორის თანაშემწის—45 მ. პირველ წელიწადს, 50 მ. მეორეს და 55 მ. მესამეს. 5. შტატგარეშე მოსამსახურეებს არ უნდა იღებდნენ აფთიაქში. 6. ავთომოფობის დროს მოსამსახურეებს ერთი თვის განმავლობაში უნდა ეძლეოდნენ ჯამაგირი და ადგილიც არ უნდა დაუქარგონ. 7. დათხოვნისას მოსამსახურეებს უნდა მიეცეთ ერთი თვის ჯამაგირი და დათხოვნაც უნდა ეცნობოს ერთი თვით ადრე. 8. გაათავისუფლონ ფარმაცევტები და შეგირდებიც არა ფარმაცევტიულ საქმეებიდან (შტამლაზების და შუშების წმენდა, გვზავენ-გამოგზავნა და სხვ.). 9. დამლაშობით მორიგულმა თანაშემწის და შეგირდის. 10. მოსპონ არსებული დამმარბელი კასსა. 11. სამსახურის პირველ წელიწადს ორი კვირის თავისუფლება ჯამაგირის გამოუკლებლათ და 12 არავინ დაითხოვონ გაფიცების გამო.

ქუთათურმა მეფთვებურებმა იმდენი დროის შესაფერი გამბედობა იხმარეს, რომ გარდა სამი უკანასკნელი მუხლებისა, ფარმაცევტების მოთხოვნილება სამართლიანათ იცნეს და ესენიც შეუდგნენ ჩვეულებრივ მუშაობის გავძობას, თუმცა ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, პირველების მხრით ეს მოსატყუებელი მახე იყო და მალე ისევე შავი კატა ჩამოირბენს შუაში. ჩვენ არ გვინდა ბოროტთა ამგვარი ნათქვამობა დავიჯგროთ, რადგან ახლა უკან დახევა საზოგადოთ მეტათ დროის შეუფერებელ იქნება და კერძოთ მუდამ წინსვლისაკენ მომავალ იმერელი ხალხის შემარცხვენელი...

სასიამოვნოა აგრეთვე, რომ თავიანთ მხრითაც ქუთათურ ფარმაცევტებს სამაგიეროთ ერთგვარი პასუხის მგებლობათ უკისრინათ: ურთაერთ შარას სასამსახურო სამართალი შეყოფიდათ. აქ ისინი თავიანთ ამხანაგებს განსჯიან რაიმე ცუდი, საერთო მანებნელ საქციელისათვის და შესაფერ ზომებს მიიღებენ იმათ გასასწორებლათ.

შეთანხმების, ნოქართა მოთხოვნილებების და დაკმაყოფილების გზას ადვიან აგრეთვე აქაური ვაჭრებიც. პირველი ნაბიჯი ამ მხრით უკვე გადადგეს და დადგინეს, რომ საქმე დღეებში დუქნება გააღონ 1 ოქტომბრიდან 1 აპრილამდე დილის 8 სათიდან საღამოს 7-დი, ხოლო აპრილიდან ოქტობრამდე დილის 8-დან საღამოს 8 საათამდე. კვირა-უქმე დღეებში კი სრულიად არ იქნება ვაჭრობა. დანარჩენ მოთხოვნილებაზე ჯერ ვერაფერი გადაქრილ გზას დაადგნენ. მხოლოთ თავისუფლებისათვის ვერ იმეტებენ, გარდა თითო-ორიოლა მსხვილებისა, თავიანთ ხელქვეითებს, ხელოსნები, განსაკუთრებით მწყლე, მჭეჭქე, დურგლები თერძები და სხ. ამათ სახელოსნოებში ისევე ძველებური ადამი სუფევს და თუ იმათი უმრავლესობა 8 საათის იქით დუქნის დარაბებს ხურავს, შიგ დამის 11—12 საათამდის ისევე ძველებურათ შრომას ეწყვიან თვალზე ჩამოფხატული, მყვინთავი შეგირდები თითო უფროს ხელოსნის, ქარგლის თავადგამურობით...

ი. ს.



თფილისის საბჭოს დარბამში.

7 თებერვლის საღამოს არა ჩვეულებრივი ელფერი ელვა. საბჭოს დარბაზი ხალხით იყო გატენილი. აქამდის უხმო ხმო-სნები 7 თებერვალს არა-ჩვეულებრივათ აღაპარაკდნენ. ბევრი საქირ-ბოროტოთ კითხვა უნდა გარჩეულიყო ამ დღეს და სწორეთ ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ საბჭოს დარბაზს აუარებელი ხალხი მოაწვა. წაკითხულ იქნა 46 ხმოსნის მოხსენება მეშოვეთა ინსტიტუტის მოსპობის შესახებ. ლაპარაკობდნენ ცხარეთ, გრძობით. ხმოსნების აზრით აღმინისტრაციამ 3000 ჯამუში ჩაუყენა თბილისის მოქალაქეთ. ეს ჯამუშები,

დაქირავებულნი ვითომ და ეზოს გასასუფთავებლათ. თავის საქმეს არ ასრულებენ, მთელი დრო პოლიციის განკარგულების ქვეშარაინაო, ჩვენი ბედ-იღბალი დამოკიდებულია „დვორნიკისაგან“, რომელიც ყოველ წუთში მზათ არის მიიზინოს პოლიციის განყოფილებაში და დავგაბეჯდოსო და მერე ხომ იცით რა მოსდევს „დვორნიკის“ დაბეჭდვას—ცხე, ცემ-ტყევა და ათასგვარი ძალმომრეობა. ჩვენ საცემ-სატყევათ დავგაქორავებინა „დვორნიკები“ ადმინისტრაციამ, რომელიც ამ საქმისთვის სავუცხოვთ ავარჯიშებს და წრთენის მათ. აბა შეხედეთ „დვორნიკებს“ და რბევის წინა დღეს... რა ალტაცებით მოელთან ისინი, კეტებით შეიარაღებულნი, ხვალინდელ დღეს!.. რა შეუბრალებლათ და გვიწყებენ ხალმე მერე ცემას ჩვენაგან მისამსხუნნა! ბევრს ხმოსანს თავალით უნახავს, რომ 28 იანვარს მეგზოვები უმოწყალოთ ცემდენ სრულიად უდანაშაულო ხალხს, არ ინდობდენ არავის—არც ქალებს არც ბავშვებს. მერე ვინ დაავალა მეგზოებს წესიერების აღდგენა? მხოლოთ ადმინისტრაციამ, წინააღმდეგ არსებული კანონისაო. კაცს ეჭირაობდე, ფულს ვაძლევდეთ; ლაპარაკობდა ხმოსანი ქოჩორიანცა, და იმის მაგივრათ, რომ მე მემსახუროს, მევე მცემსო. არ გვინდა ბატონო, არც მათი გაძლიერებული წესი, არც „დაცვა“ და არასფეროო. ოღონდ თავი დაგვანებონ და ჩვენ მოუღლით ჩვენ თავსაო. საბჭომ ერთხმათ მოიღო 46 ხმოსნის წინადადება და დაადგინა: აღიძრას შუადგომლობა მეგზოვეთა ინსტიტუტის მოსპობის შესახებ.

შემდეგ წაკითხრლ იქმნა მოხსენება 33 ხმოსნისა, რომელთ წინადადებით საბჭომ, ერთ ხმათ, უღობარაკოთ 2000 მანეთი გადადო 23 იანვარს დაზარალებულთა სასარგებლოთ. კრებამ მოისმინა აგრეთვე წინადადება 38 ხმოსნისა, რომელნიც 23 იანვარს ამბების გამოძიებას და ქალაქის მუშათა მდგომარეობის გამოკვლევას თხოულობენ. ხმოსანმა არგუთინსკიმ გრძნობით დასურათა 23 იანვარს მომხდარი უბედურება და სხვათა შორის თქვა: ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ მუშები არიან ჩვენი მარჩენელი, ბევრნიარათა ვართ ჩვენ მათგან დამოკიდებულნი, მაგრამ, სამწუხაროთ, სრულებით არა ვიცით რა ამ ჩვენი მრჩენელების შესახებ, არ ვიცით როგორ ცხოვრობენ, რას საჭიროებენ... ვიცით მხოლოთ ის, რომ მუშები მოკლებულნი არიან თითქმის ყველა უფლებებს. ის, რაც სხვისთვის კანონიერია—მუშებისთვის აკრძალულია; კანონი სასტიკათ სჯის მათ, როდესაც ისინი იკრიბებიან და თავიანთ ქირ-ვარამზე თათბირობენ, მაშინ როდესაც მთავრობა მექარხნებს დაზარალებასაც კი უწყევს გაფიცვის დროს... იმ დროს, როდესაც ჩვენ თვალ წინ ათასგვარი უსამართლობა ხდება, ჩვენ ლაპარაკის ნებასაც კი არ გვაძლევენ.

23 იანვარს პოლიციამ ქალაქი აიკლო, ყაზახები და დვორნიკები ხალხს მიუსია... მრავალი მოქალაქის სისხლი დაიდვარა იმ დღეს ტფლისის ქუჩებში. უმოწყალოთ ცემდენ ყველას—ქალებს, ბავშვებს, მოხუცებულებს! პრესა კი ამ დროს სდუმდა, კინტასაც ვერ ძრავდა. ამიტომ ჩვენ ვაღდებულნი ვართ დაუყოვნებლივ მოვითხოვოთ სიტყვის, ბეჭდვის, კრებების, კავშირების და გაფიცვების თავისუფლება და კანონის წინაშე საზოგადოების ყველა ნაწილის თანასწორობაო. ქალაქის მოურავმა წაუკითხა კრებას 700 მოქალაქის მოხსენება, რომელნიც თხოულობენ მეგზოვებისაგან დაფარვას და „დვორნიკთა“ ინსტიტუტის მოსპობას. ამისთან ერთათ წაკითხულ იქმნა ნათიცი ვეკილების და მათი თანაშემწეების რეზოლუცია. ვეკილები პრეტესტს აცხადებენ ადმინისტრაციის მხეტურ მოქმედების შესახებ და გადაუწყვეტია დაზარალებულ მუშებს იურიდიული და მატერიალური დახმარება გაუწვიონ.

ხმოსანმა გიორგი თუმანაშვილმა წინადადება შეიტანა—ვიშუადგომლოთ, რომ 1899 წლის 15 მაისის დროებითი წესები მოისპოს. ამის შესახებ სიტყვა წარმოთქა ხმოსანმა აღარგუთინსკიმ, რომლის აზრით ადმინისტრაციის განუსაზღვრელ უფლებას კავკასიაში ბევრი ენება მოაქესო. ხმოსანმა გაახსენა კრებას, თუ როგორ ჩაერია საქმეში ადმინისტრაცია, როდესაც ქალაქმა ტრამვაის გამოყვივა მოიწადინა და ეს მომგებიანი საქმე ხელიდან გამოაცალა. ვითხოვეთ ქალაქში საჯარო სამკითხველოს გახსნა და ადმინისტრაციამ უარა გვითხარა; ვითხოვეთ უმადლესი სასწავლებლის გახსნა და ამაზედაც უარი გვითხარესო. ყოველ ჩვენ კეთილ განზრახვას მთავარმართებელი წინ ეღობებოდა და ბოლოს პასუხის გებაშიაც კი მისცა ყველა საბჭოს წევრებო. ყველა ამან ქალაქის საქმეები, რასაკვირველია, უკან დასწია. საჭაროა, რომ ეს საგანგებო უფლებები მოისპოს ჩვენშიო, —ამბობდა ხმოსანი. მაგრამ ეს არ კმარა: იქ, სადაც არ არსებობს თავისუფლება სიტყვის, კრებებისა, კავშირებისა და გაფიცვებისა, იქ, სადაც გამეფებულია ადმინისტრაციის თვითნებობა, ძალმომრეობა, საზოგადოებრივი ცხოვრების რიგიანი მოწყობა შეუძლებელია; ხალხი შუთათვს დღეს ამისგანო, აბოზოქრებულ ზღვას მოგაგონებთ დღეს მთელი რუსეთი... რომელიც დამკვიდრება მხოლოთ მაშინ შეიძლება, როდესაც დამყარდება კანონიერება. კანონიერი და მშვიდობიანი ცხოვრება კი მაშინ დამყარდება, როდესაც კამონმდებელი ხალხი იქმნება, როდესაც თვით ხალხი განაგებს თავის ყოფაცხოვრებასო. ხმოსნის სატყუას ალტაცებით მიეგება დამსწრე საზოგადოება. ამით გათავდა 7 თებრვალს სხდომა.

ვისურვებთ, რომ ამისთანა სხდომები თფლისის „მამებს“ ბევრჯერ მოეხდინათ*).

სამოგადოებრივ-ინტორიული წერილები.

(რუსულიდან თარგმ. ლ. ელიაშვილი)
(შემდეგი.—იხ. „მოგზ.“ № 4).

III.

ქალაქის დემოკრატია ძველათ.

როცა გარემოება ხელს უწყობდა, თემობითი ცხოვრება დემოკრატის ახალ აღორძინებას ედებოდა საფუძვლათ.

ეკონომიური ურთიერთობის შემდეგმა განვითარებამ აღმოაცენა და დაამაკვირდა ხელობა და ვაჭრობა იმ თემებში, რომელთაც საამისოთ ან მოხერხებული ადგილი ეკავათ ან პოლიტიკური პირობები უწყობდა ხელს. ასეთ თემებში მცხოვრებთა რიცხვი და მათი სიმდიდრე მაჩულობდა. აი ამ სიმდიდრის და თავის თავის დასაცავათ თემებმა ირველოვ შემოივლეს ზღუდვ და ქაჯაქვით გადაიქცენ. ასეთი ქალაქები განსაკუთრებულ კარგ პირობებში დიდ ძალას და გავლენას იხევედა. ბევრმა მათგანმა მოახერხა თავის დამოუკიდებლობის შეჩინა ან ხელ ახლა დაბრუნება თუ დაკარგული ჰქონდა. ზოგმა იქამდისაც მიახწია, რომ თვით განხა მმძანებელი, სხვა თემები დაიპყრო, სახელმწიფოები დაარსა; ზოგი ასეთი სახელმწიფო სიგრკით მონარქიასაც არ ჩამოუვარდებოდა, ასეთია, მაგალითათ ათინის სახელმწიფო. გარდა ამისა, ყველამ კარგათ იცის თუ რა ვეებერთელა, მსოფლიო სახელმწიფო შექმნა რომის ქალაქის თემმა.

* აქ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ როდესაც მუშებზე და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ლაპარაკობდენ ერთი, ხმოსანთ (გენერალი) სხდომიდან წავიდა.

ქალაქის სიმდიდრისა და ძლიერების ზრდასთან ერთად თვით ქალაქში მწვევე სასტიკი ბრძოლა იყო გაჩაღებული.

გლეხის უბანი პირველად სასოფლო თემის მსგავსი იყო. მიწები, რომელიც ჯერ კერძო მესაკუთრის ხელში არ გადასულიყო, თემს ეკუთვნოდა. ყველა მცხოვრებლები თემის წევრებათ ითვლებოდა და სათემო მიწებით საერთოდ ან ცალკე თემისაგან მიერ დადგენილი წესის თანახმად სარგებლობდნენ.

თუ თემში ვინმე უცხო მოვიდოდა, რაც ძლიერ იშვიათად მოხდებოდა ხოლმე, რადგან მეურნეობა მტკიცეთ აკავშირებს მიწათმომქმედს მიწასთან და თუ თემი მას მიიღებდა, მაშინ იგი სრულ თანასწორ უფლებებიან წევრად ხდებოდა, მიწა ხომ მაშინ საუკროზე მეტიც იყო.

ზემოთ აღნიშნული წესი პირველად ქალაქებში შეიცვალა. ქალაქი ძლიერ იზიდავდა ახლო მახლო და შორეულ მცხოვრებთ, ზოგჯერ უცხო ქვეყნელებსაც, რადგან მისგან დიდ სარგებლობას გამოელოდნენ. შემოსახლებულთა რიცხვი მატულობდა, რის გამო მიწის სივიწროვე საგრძნობელი შეიქნა, მას ფასი დაედვა. ამ მიზეზით თემის ძველმა წევრებმა შემოსახლებულებისთვის მიწების ძველსა თავე დაანებეს და თანასწორ უფლების მატარებლად მხოლოდ თვით თავისი თავი გამოაცხადეს. ამგვარად თემი შეიქნა კარჩაკეტილი ორგანიზაცია. ამით იწყება ბრძოლა თვით ქალაქში: განადნენ ერთი მხრით მიწათმფლობელი და ვაჭარი არისტოკრატია, პატრიციატი, და მეორე მხრით დანარჩენი მკვიდრნი—პლებეები, რომელთაც არა თუ სათემო მიწებით სარგებლობის ნება არ ჰქონდათ, არამედ სახალხო კრებებზე მონაწილეობის უფლებასაც მოკლებული იყვნენ, მაშინ როდესაც ამ კრებების ხელში იყო საკანონმდებლო და სამოსამართლო უფლებები და საზოგადოების მართვა-გამგეობის მეთვალყურეობა.

ეს თემიდან გამოიციხულნი თავდაპირველად მოთმინებით იტანდნენ თავის უუფლებობას, სანამ იმათ შემოსვლის უფლებიანი წევრები თურგნიდნენ მათ თუ ყოველთვის თავის უმეტესობით არა, ეკონომიური მნიშვნელობით მაინც; მარა პატრიციების ეკონომიური მნიშვნელობა თანდათან კლებულობდა, უუფლებო პროლეტარიების კი ძლიერდებოდა, რადგან მათი რიცხვი და ეკონომიური გავლენა მატულობდა. მიწათმომქმედებამ ქალაქის ცხოვრების საფუძვლობაზე ხელი აიღო და პირველ ადგილზე ვაჭრობა-მრეწველობა წამოიქიმა. ეკონომიური ძალა მიწათმომქმედნიდან ვაჭარ-ხელოსნებზე გადავიდა. რაც უფრო წინ მიდიოდა ასეთი განვითარება, მით უფრო მეტ ძალას გრძნობენ ვაჭარ-ხელოსნები და მით უფრო აუტანელი ხდებოდა მათთვის უუფლებობა, და მით უფრო მედგარ წინააღმდეგობას უცხადებდნენ პლებეები პატრიცებს. რა ექნათ? პატრიცები იძულებულნი შეიქმნენ დაეთმოთ: პლებეებმა მოიპოვეს უფლება მმართველობაში მონაწილეობის მიღებისა და სათემო მიწებით სარგებლობისა. პლებეების მონაწილეობამ ქალაქის გამგეობაში თანდათან იმატა და შესამჩნევი ძალა მოიპოვა დანარჩენ კლასებთან შედარებით.

ზოგჯერ საქმე იქამდის მიახწევდა, გარემოება ისე შეუწყობდა ხელს, რომ სამმართველო კრებაში, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა უფლება კანონები გამოეცა, თანამდებობის პირები აყრჩია და რამდენიმეთ სასამართლოს საქმეებიც ეწარმოებია, მთელი ხალხი იღებდა აღრინდელურად მონაწილეობას.

ახალ საფუძვლელზე ძველი დემოკრატიის ასეთი განახლების ბრწყინვალე მაგალითს ქ. ათინა წარმოადგენს, რომელიც დიდი სახელმწიფოს შუაგულ ადგილათ, ცენტრად გადაიქცა. რა შედეგი მოყვა ამ პირდაპირ სახალხო კანონმდებლობას?

დიდი სახელმწიფოს მართვა-გამგეობა მეტად რთული და

ძნელი საქმეა; ათინელებმა გამოიჩინეს სრული უნარი ქვეყანას მთავა-გამგეობაში, მხოლოდ ეგაა თითქმის მთელი თავისი დრო ამ საქმესთვის უნდა მოენდომებინათ.

ასეთმა გარემოებამ პოლიტიკური უფლება ფაქტიურად ხალხის იმ ნაწილს ჩაუვლო ხელში, რომელსაც შეეძლო მთელი თავისი დრო შეეწირა ამ საქმისათვის, მარა ამ ნაწილში არც მახლობელი სოფლის გლეხობა შედიოდა, იმისდა მიხედვით თუ რაოდენი მოქალაქეობრივი უფლება ჰქონდათ ათინაში მათ და არც ქალაქის ხელოსნები. სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, კანონმდებლობა და უმაღლესი სასამართლო იმ პირთ ჩაუვარდა ხელში, ვინც სხვისი ნაოფლარით ცხოვრობდა, მუქთა-ხორა მდიდრებს და მეორე მხრით მუქთა-ხორა დატაცებს: ე. ი. მსხვილ მიწის მესაკუთრეთ, მსხვილ ვაჭრებს, მექარხნეებს¹⁾ და პროლეტარებს²⁾

კლასს გარეშე დარჩენილ (დეკლასირებულ³⁾ პროლეტარისათვის არ არსებობს კლასობრივი ინტერესი. პოლიტიკური უფლება მისთვის მხოლოდ საშუალებაა დაიკმაყოფილოს თავის პირადი, დროებითი ინტერესები, და ვერასოდეს ვერ აწარმოებს სახელმწიფოს საქმეებს ერთი რომელიმე განსაზღვრული კლასის ინტერესების მიხედვით. პროლეტარები თავის პოლიტიკური გავლენით ვაჭრობდნენ, ვინც მეტს მიცემდა, მას მიყიდდნენ, ე. ი. მდიდრებს. მდიდრები იმათ გულს მოწყალებით და დღესასწაულების გამართვით, ე. ი. „პურით და გასართობით“ იგებდნენ. სწორედ ისე, როგორც რომში, მხოლოდ აქაური გასართობი აქ სხვა ნაირი იყო. ამის საშუალებას კი მონობა იძლეოდა. ერთი მხრით იმის გამო, რომ საშუალო კლასებს სურდათ მდიდრების გავლენა პროლეტარებზე შეესუსტებიათ, და მეორე მხრით თვით პროლეტარებს სურდათ რაც შეიძლება მეტი პირადი სარგებლობა ენახათ სახელმწიფო საქმეებში ჩარევით, წარმოეცა სხვადასხვა გვარი დაჯილდოება საზოგადო საქმეებში მონაწილეობისათვის: შემოიღეს ჯამაგირები სასამართლო და სახალხო კრებებში, ასე გასინჯვი გასართობზე დამსწრესთვისაც ჯამაგირი შემოიღეს. რას უნდა დაეფარა ეს ხარჯი? ერთი მხრით მდიდრებზე გაწერილ გადასახადით, ე. ი. მონების შრომით მოპოებული ქონებით, რომლებიც ხელახლა ათინელთა გაბატონებული ხალხის მარჩენალი შეიქნა და მეორე მხრით, იმ გადასახადებით, რომელიც შემოქონდა დამოკიდებულ მოკავშირე თემებს.

ეს კიდევ არაფერი. პერიკლის დროიდან ათინელი სახელმწიფო მოღვაწეები პოპულიარობის, გავლენის, მოსახვეჭათ რაც დამარცხებულ მტერს მამულებს ჩამოართმევდნენ, კლერებათ, ე. ი. უბნებათ, დაყოფდნენ და ათინელ მოქალაქეთ ურიგებდნენ. ასეთი უბნების მიმღებთ დაერქვა კლერუხები, ე. ი. უბნის მებატონეები. თუ ამ ზომებით სახელმწიფო მოღვაწეებს უნდადათ არაფრის მქონებელი მოქალაქე მიწის მუშათ გაეხადათ, უნდა გამოვტყდეთ, ეს ზომა სრულიად უვარგისი იყო. პროლეტარებისთვის ბევრათ უფრო სასიამოვნო იყო სრულიად უშრომლად ათინაში ექვეფათ და მხიარულად დრო გაეტარებიათ, ვიდრე სოფელში ჭაპანწყვეტით ეტარებია ერთ-

1) ათინაში მრავალი ისეთი ქარხანა იყო, სადაც მონები მუშაობდნენ. ერთხელ პელოპონესის ომის დროს, სპარტელების მიერ დაკავებულ დეკოლიას გაიქცა ათინიდან არა ნაკლებ 20,000 მუშისა, მათგან უმეტესობა ქარხნის მუშა იყო. დემოკრატთა პოლიტიკოსი კლიონ „მეტყავ“ ხელოსანი კი არა, ტყავის ქარხნის მებატონე იყო.

2) როგორც შემდეგიდან მკითხველი გაიგებს მაშინდელ პროლეტარებსა და დღევანდელ პროლეტარებს შორის არაერთი მსგავსება არ არის.

მთარგმნელი.

3) Деклассированный ეს ის პირია, რომელიც თავის კლასს მოშორდა და არც სხვა რომელიმე კლასშია შესრული.

ფეროვანი ცხოვრება. აგრეც მოხდა. მათ ქალაქში არჩივს დაჩენა და მიწები კი ძველ მებატონეებზე გასცეს იჯარით. ამგვარათ, კლერუხიამ არსებითათ ის ცვლილება მოახდინა, რომ პროლეტარებს მიუზინა ვადახდელი გლეხები სოფელში, რომლებიც მათთვის მუშაობდნენ. ეს წესი საკმაოთ გვიხსნის, თუ რათ ჰქონდა ათინელებს უზომო წადილი ჩაეგდოთ ხელში სხვისი მიწები. ამასთანავე ეს გარემოება იმ საოცარი სიმძულვარის მიზეზსაც ცხადყოფს, რომელსაც გრძნობდნენ ათინელებისადმი ყველა ქვეყნურადმი თემები.

ასეთი ზომებით მდიდრების გავლენა ხალხის ღარიბ და უქმ ნაწილზე კი არ შესუსტდა, წინააღმდეგ საშუალო მშრომელმა ხალხმა კი მუშაობაზე გული აიყარა და პოლიტიკურ მოღვაწეობის საშუალებით შეუდგა გამდიდრების წყაროს ძიებას. ასეთი წესი სწორეთ რომ სულ ახალ-ახალ პროლეტარებს მატებდა სახელმწიფოს.

სანამ დაქირავებული პროლეტარები გაჩნდებოდნენ, დემოკრატიის მხოლოდ მშრომელი, საშუალო კლასი; ე. ი. გლეხები და ხელოსნები უქვერდნენ მხარს. პროლეტარები კი მხოლოდ თავის უფლებობით და თავისუფლებით ვაჭრობდნენ და ვერასოდეს ვერ ბედავდნენ სერიოზულ ბრძოლაში ჩარევას. აი ამიტომ, როგორც კი ათინის მცხოვრებთა მასსა გაპროლეტარდა, ხალხის თავისუფლების დამოხზა აუცილებელი შეიქნა.

ამ გზით მიდიოდა განვითარება, როგორც ვიცით, რომ-შიაც.

ამგვარათ ჩვენ ვხედავთ, რომ „პირდაპირი სახალხო კანონმდებლობა“ აქაც, როგორც ბარბაროსობის ხანაში, სხვის შრომაზე იყო დაფუძნებული. ბარბაროსობის ხანაში ქალების შრომა, ცივილიზაციის—მონების და მოხარკეთ. და როგორც ვეღურ ხანაში საყოველთაო თავისუფლებას დესპოტიზმი მოყვა, ისევე დესპოტიზმით დასრულდა ქალაქის თემთა დემოკრატიის ახალი აღორძინებაც.

(შემდეგი იქნება).

უქრნალეგამეტიებიდან.

რუსულ ცხოვრებაში ამ უკანასკნელ დროს დაქინებით ლიპარაკობენ საერობო კრების—„ზემსკი სობორ“-ის—მოწვევის შესახებ. „ნოვ. ვრ.“-ს რედაქტორს, ა. ს. სუგორინს, ამის შესახებ ულაპარაკნია ერთ სახელმწიფო მოხელესთან და ლიპარაკის საგანი შემდეგი ყოფილა:

„საერობო კრების“ ანუ პარლამენტის მოწვევა ფრად რთული საგანია; ბერი სავათხი უნდა გადაწყდეს წინდაწინვე. ამასთჳის მოწვეული უნდა იქნას განსაკუთრებული სარედაქციო კომისია, სადაც, მთავრადის მოხელეთა და არჩულ პირთ გარდა, ისტორიკოსებიც და სხვა სპეციალისტებიც უნდა იყვნენ. საერობო კრების მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ იქნება მოწვეული და რამდენი წარმომადგენელი ეგულება იმპერიას. ეგულებოვე წინდაწინვე უნდა იყოს მოსახრებული. კრებაში უნდა მოყვნენ სუგუეთსა პირები. რასაკვირვლოა, წინდაწინვე პარტიების ავტორიტა მოხდება, მთავრად თავის მხრით ფრთხილათ იქნება. კრებაში უთუთ უნდა იყვნენ მიწათმომქმედთა, მიწათმფლობელთა, ვაჭრთა, მრეწველთა, მუშათა და აგრეოვე მეცნიერთა წარმომადგენლები. თუარტეკოსები პრესსშიაც საკმაოთ ბეგრთ; პრესსს თავისთავათც გაძლიერდება და გაუღნას იქონიებს საერო კრებაზე. რაც უფრო მეტ ადგილს ეგულება წარმომადგენლები და რაც უფრო ბეგრი იქნება მათი რიცხვი, მით უმჯობესია საქმისათვის. კრებაზე, რასაკვირვლოა, უმეტესობა რუსების უნდა იყოს,— ამ მკვიდრთა, რომელთაც შექმნეს რუსეთის იმპერია. სამარ-

თლიანი იქნებოდა, ზოგერთი განპირობა ქვეყნები და ხალხები სულ გამოგვირცხს და ისე გავგვირცხვებოდა, როგორც ჩრდილოეთ ამერიკაში ტერიტორიების განცლაკვევული შეტარებისაგან. ამ მხრით ჩვენი იმპერიის მდგომარეობა უფრო გასაჭირია, ვიდრე ინგლისისა, საფრანკეთისა, გერმანიისა და იტალიისა, სადაც ერთგვარ ეროვნება ცხოვრობს და კალონიები დაბნეული აქვთ სხვა-დასხვა ქვეყნებში. ჩვენი კალონიები ერთათ არის მეტროპოლისთან; ხალხიც ბეგრთა სხვა-დასხვა. შესაძლებელია, რომ რუსეთის საერო კრებაში, გარდა უგრძობისებურ პარტიებისა—ნაციონალიზმის, დიპლომატიის, სოციალისტების—განხედება ცივილიზაციური პარტიები: პოლიტიკური, ლიტერატურული, მწიგნობრული, თათრული, ქართული, ებრაული, ლატვიური და სხვა. ეს მძიმე მოვალეობა და საქმე გვაქვს, რომელიც ავსტრიას გვაგონებს. ამაზე წინდაწინვე კარგათ უნდა ვიფიქროთ. საერთო საერო კრებაში ფინანსდებულებიც უნდა იყვნენ, რადგან ფინანსდასა საერთო სამხრეთ ინტერესებიც აქვს და გარეშე შეურუბლათ ვერ დარჩება.

საქარო იქნება იმპერიის რამდენსამე საარჩევნო ოქათთ გაიფოს და მხედველობაში იქმნას მიღებული სხვა-დასხვა ერთთ ურთიერთობა, ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული თვისებანი, ამ პარამით-კი, რომ რუსებს უპირატესობა ქქონდეს. საერო კრებაში ლანარაკი უთუთ რუსულ ენაზე უნდა იყოს, ამაში ვერაფერს დავთმობთ; ამიტომ არჩეულ უთუთ უნდა მოკითხოს რუსულ ენის ცოდნა. ზოლო სწავლის ცნსში საჭირო არ ირის. წერა-კითხვის არამცოდნე გლეხსაც იგივე უფლება უნდა ქქონდეს, როგორც განათლებულს ადამიანს. დემუტატთა რიცხვი შეიძლება 1500-მდე ავიდეს. ასეთ მრავლრიცხოვანს არ უნდა შეეუშინდეთ, რადგან საერო კრება შეიძლება პატარ-პატარა კრებებზე გაიფოს. ცხოვრებაში აქ-იქ არსებოც გამოითქვა, რომ პრისტიანები არ უნდა იყვნენ კრებაშიც, მაგრამ ეს შეუწყნარებელია, რადგან მარტო მასშადიანების რიცხვი უდრის, მაკალიათთ, ქრისტიან ლოტრანგთა და კათოლიკეთა (11⁰/₁₀) რიცხვს.

**

ამივე საგანს ეხება გავითი „ნოვოსტი“, რომელიც ამბობს: გაზ. „ნოვ. ვრ.“-ში წერენ: „ხლანდელი წეს-წეობილება ამას იქით აუტანელია“...

თუ კი იქ ამას ამბობენ, რადა უნდა იფიქროს გულწრფელმა, პატრიოსმა, სამშობლოსათვის თავდადებულმა კაცებმა? ეგულისათვის შუარა შეიქნა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, უბედურმა მამა და უკანასკნელმა შინაურმა ამბებმა გაღვიფს საზოგადო სინდაის და დაწმუნს ეგულის, რომ უნუთოთა უოველივე ის, რაც დღეს „რეფორმების“ სახელით გვაწვდიან.

„მხოლოდ თავისუფალ ხალხს, თავის მიერ თავისუფლათ ამორჩეულ წარმომადგენელთა მოქმებით, შეუძლია ახსნას რუსეთი“...

ეს სიტყვები ეგულის განსზე აკერია დღეს. მეცნიერი თუ მუშა ეგულის ამას თხოულობს დღეს. ამიტომ საკვირვლოა არ იქნება, თუ საერო კრება („ზემსკი სობორი“) მოხდა.

საკითხი მხოლოდთ ის არის, რა უფლებები უქნება ამ საერო კრებას და როგორ იქნება იგი ამორჩეული?

უწინდელი საერო კრებები, ცხადია, დღეს აღარ გამოდებმა.

ხალხმა თვით უნდა მიადოს მისწავლიათ კანონმდებლობაში, განხორციელოს სისრულით თავისი ნება.

თუ საერო კრება მოწვეულ იქმნება ბიუროკრატიულ მოხელეების პრეგრანით, როგორც კრება „მცოდნე პირთა“

უმრავლეს რჩევებს მისცემთ, თუნდ ერთბაშა წარმომადგენელნიც მოიწვიონ, ამავენი კრება ვერ იქნება გამომხატველი საქმიანობის, ვერ მოაზრებებს ნდობას.

თუ იქნება საერო კრება, უნდა იყოს ისეთი, რომ ქვეყანა ენდობოდეს.

და ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ მისი წევრები არჩეულ იქნებიან სხვა-და-სხვა კუთხეში, მაზრებში, საყოველთაო, შირდაში, თანასწორ და დახურულ კენჭის ერთი.

თუ კრებაზე მხოლოდ ვაჭარია წოდების, ქადაქის და ერთბაშის წარმომადგენლებს მოიწვევენ, ამა არ მოყვება სასურველი შედეგი, რადგან ვერ გავიგებთ ქვეყნის ნამდვილ აზრს.

ერთბაშა ხმისათა 90 პროცენტი თავად აზნაურები არიან, საქადაქო სამართლებრივად — მხოლოდ სახლის მატრონიები...

ვისი-და წარმომადგენლები იქნებიან საერო კრებაზე? აზნაურები, ვაჭრები...

ნამდვილი ხალხი გი არ იქნება, ხალხის ხმას ვერაფერს გავიგებთ.

„ნოვოე ვრემის“ ეშანან, თუ ხსენებულის წესით იქნენ მოწვეულნი საერო კრების წევრები, ურავთ ახვსებენ კრებასა.

მაგრამ ასეთი სასულდე შეუძლიან თქვას მხოლოდ „ნოვოე ვრემის“-ს, სხვას არავის“.

**

გაზ. „ნაშა დნი“ არჩევს გაზ. „ნოვოე ვრემის“ თანამშრომლის ლ. ლ. ტოლსტოის აზრს „საერო კრების“ წარმომადგენლობის შესახებ. ტოლსტოის აზრით, თითოეულს წოდებას თავისი წარმომადგენელი უნდა ყავდეს საერო კრებაში, მაგ., თავად-აზნაურთა წოდებას, მოქალაქეთა, გლეხთა, სამღვდლოთა და სხვ. და სხვ.; ასე ყოფილა შვეიციაში და ჩვენშიც ასე უნდა იყოს. „ნ. დ.“-ს აზრით, ასეთი შეხედულება ყოველად შეუწყნარებელია დღეს ჩვენში და გარდა ამისა დიდი განსხვავებაა ამ მხრივ შვეიციასა და რუსეთს შორის.

„შეგე საშუალო საუკუნეებში“ — ამის გაცხადებით, — შეგების წოდებანი წარმომადგენლებს ძვირ ზოლიტიკურ კონტინენტებს; შეგების სეიმებს, რომელნიც შედგებიან ამ კონტინენტთა წარმომადგენლებისაგან, უსოფარი ღრთიდან ქრებათ გავლენა სახელმწიფო და საზოგადო საქმეებზე. მაგალითად, 1720—1771 წლამდე ეს სეიმი, განაგებდა სახელმწიფო საზნაო და საერო ზოლიტიკის საქმეებს, სეიმი ნიშნავდა უმადეს ადმინისტრაციის მოხელეებს, მოსოფადა ანკარის სახელმწიფო სტრუქტურას, რომელიც მხოლოდ ადამიანურად დაწესებულება იყო.

და მის შემდეგ, როდესაც გუსტავ III-ემ განაძლიერა შვედის უფლება, როდესაც სეიმს ჩამოართვა ზოლიტიკური უფლებანი, აი რას წერდნენ წარმომადგენლები თავად-აზნაურთა, მოქალაქეთა, სახელმწიფო წოდებისა და გლეხთა 1772 წლის „Regeringsformen“-ში:

„ჩვენ, დღეს აქ შეკრებიდმა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, საჭიროთ ვგანით დავგეგმავთ იმისა უფლებად ესე დასამყარებლად წესდებისა სახელმწიფო მართვა-გამგებობაში ჩვენის თავისუფლებისა და მშვიდობისათვის, აკრთვეთ თავისუფლებისა და მშვიდობისათვის შინ დარჩენილ ჩვენთა ძმთა და უფლებათ, ვინც დაბადებულა და დაიბადება. ჩვენ ვცხადებთ ამით გლეხად, რომ საშინლად გვეზიზღება შვედის თვითმმართველობა და ვიფიქროთ ჩვენთვის დიდ ბედნიერებათ, ზღვრათ და სასარგებლოთ, ვიფიქროთ და ვინცხოვრით თავისუფალად, დამოუკიდებლად, კანონის-მდებარე წოდებებთ და უნდა ვემორჩილებოდეთ ამ კანონებს ძვირად, მაგრამ კანონით შეცდულად, შვედის ხელქვეით; ამისათვის ჩვენსა და იგიც უნდა

ვიყოთ შეზღუდული და დაფარული კანონით, რომელსაც შეუძლიან ვცინის ჩვენ და ჩვენს საუფარული სამშობლო განსხვავებულად ანარქიისა, თვითმმართველობისა, არისტოკრატისა და ოლიგარქიის მხრივ მთელი საზოგადოების საზიანთ თვითოეულის მოქალაქის დასამძიმებლად და შესაწყუბლად“.

სეიმის განსაკუთრებულად დამწესებულად კრებამ დაწესა 1809 წლის კონსტიტუცია; 1866 წ. სეიმმა დაწესა ახალი კონსტიტუცია, რომელმაც გააუქმა წოდებათა წარმომადგენლობა და შემოიღო საზოგადოებრივად მართლმართის მართველობა. აი ის ზოლიტიკური სკოლა, რომელმაც განვლილ შეგების წოდებებს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. და ჩვენს თავად-აზნაურთაგან, მოქალაქეთაგან, სოფლებსა და სასულიერო წოდებებს — სად მიიღეს მათ თავისი ზოლიტიკური ადრინდის? სადა აქვთ მათ ზოლიტიკური ტრადიციები?“.

ამაჟრათ, რომ დღეს წოდებათა წარმომადგენლობაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება, ამან დიდი ხანია მოკვამა თავის დრო; დღეს მხოლოდ მოქალაქეთა წარმომადგენლებზე შეიძლება ლაპარაკი.

რედ.-გამომც. ი. პ. როსტომაშვილი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

თფილისის კერძო სამაჟრნალო

მეჟრნალის დ. ა. კედევანიშვილისა. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

- დ ი ლ ი თ :
- ბ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.
 - გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი, ოთხშაბ, 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
 - ა. ი. ბალარჯიშვილი. — ბავშვებისა, 9 1/2—10 1/2 ს.
 - ბ. ტ. ბულინი. — ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
 - ვ. დ. ლამბაშიძე. — შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
 - დ. ა. გედევანიშვილი. — შინაგანი, და ნერვების: 12—1 ს.
 - ქ. ქალი ე. კ. იოსელიანი. — ქალისა და საბავშვო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
 - კ. ნ. დიასმიძე. — გენერალი და კანისა 12 1/2 1 1/2 საათ.
 - ს. ა. ალექსი-მესხიშვილი. — ხირსურგია 1—2.
- ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ ხირურგებსა.
- ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაბ., საავთმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამეჟრნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მ. ადრესი: კუკია, ველიკონიაჟსკის ქუჩა, (კუკიის ხილიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 B.

ბელაშოვი № 274.

საუმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“

სურათობით მცირე ფლოვან და მოზრდილ ყრმათათვის. თვეში ორჯელ, სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი ბოზრდილთათვის პედაგოგიურ ფორკლის დამატებით. წელაწადი ანგარიშები: 1-ელ ნომერდან 1-ელ ნომერამდე.

შურნალის ფასი: ერთთ ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან., ცელ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა—2 მან. 50 კა; ცელ-ცალკე—1 მ. 50 კა; თვეში ღირს 40 კაბ. ხელის მოწერს შეუძლია თვეში თითო მანეთი შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: ბოზრდილთა ჟურნალი—25 კაბ., მცირე ყრმათა—15 კაბ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდრის ქ., № 5, სახლი ხანოვისა, სადგომი მარამ იყინეს სკულის დემურასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანტლარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлис, редакция журнала „Накадули“